



ეგზ. N 2

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„09.11“ 2015 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (კოდი 30 01 01 01)

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 0164/00

01.01.2013წ. – 01.01.2015წ.

შინაარსი

1. დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	4
2. აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ	5
3. ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება	5
4. ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები.....	8
5. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	10
6. შეწყვეტილი ტენდერები.....	12
7. შპს „ნიუ კონსტრაქშენტან“ გაფორმებული ხელშეკრულება	13
8. ფართის იჯარები	14
9. უცხოური საწარმოს ფილიალ „თულიზ იმპორტ & ექსპორტ კო ლიმიტედის აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლობასთან საქართველოში“ გაფორმებული ხელშეკრულება	16
10. წარმომადგენლობითი ხარჯები	17
11. შრომის ანაზღაურება.....	18
12. შპს „გილმარი 2“-თან გაფორმებული ხელშეკრულება.....	19
13. შპს „ნიტექსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.....	20
14. შპს „მოდელების სახლი მატერიალთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	21
15. შპს „ჯეოსტილთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	23
16. შპს „კანუდოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	24
17. შპს „როიალ არტ ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	25
18. შპს „ბლოკ ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები	27
19. შპს „ოლბერთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები.....	28
20. შპს „Art House“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებები	30
21. შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.....	30
22. შპს „ახალ მთვარესთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.....	32
23. შპს „შტურმთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	33
24. საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.....	34
25. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები.....	35
26. ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები.....	36

27. სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების ტექნიკური მაჩვენებლები	38
28. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა შენიშვნები	39
29. მივლინებები ქვეყნის გარეთ	43
30. სამინისტროს მიერ დაქირავებულთათვის გაწეული მომსახურება და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება.....	44
31. ავტომატური გადაცემა	45
32. პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	45

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (კოდი 30 01 01 01) შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2013–2014 წლები. შემოწმდა აღნიშნულ პერიოდში გაწეული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, შესაბამისი პერიოდების წლიური ბალანსები და მასთან დაკავშირებულ ანგარიშები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ასევე შეცდომით ან განზრახ, არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული დარღვევების პრევენციისთვის.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება ობიექტის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით აუდიტორების მიერ მოითხოვება ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტორები აუდიტის საფუძველზე გამოთქვამენ მოსაზრებას განხორციელებული ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად გაწეულ საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს რისკების შეფასებას. რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება

2013 წლის პირველად წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადით სამინისტრომ ზღვრული მოცულობის ფარგლებში მოითხოვა წლიური ჯამური (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ჩათვლით) ასიგნება 585,200.0 ათასი ლარის ოდენობით (კოდით 30 00). ზღვრული მოცულობის ზემოთ მოთხოვნილმა ჯამურმა ასიგნებამ შეადგინა სულ 624,703.0 ათასი ლარი. მეორე წარდგენით სამინისტრომ ზღვრული მოცულობის ფარგლებში მოითხოვა წლიური ჯამური ასიგნება 580,000.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნება არ მოუთხოვია. „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროს დაუმტკიცდა წლიური ჯამური ასიგნება 570,000.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის პროგრამული კოდით 30 01 (საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება) სამინისტროს დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 549,861.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის განწერის შედეგად სამინისტროს ცენტრალურ აპარატს (კოდით 30 01 01 01) დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 151,585.6 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილების და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შედეგად სამინისტროს ცენტრალური აპარატის (30 01 01 01) წლიურმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 152,691.8 ათასი ლარი.

2014 წლის პირველად წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადით სამინისტრომ ზღვრული მოცულობის ფარგლებში მოითხოვა წლიური ჯამური (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ჩათვლით) ასიგნება 570,000.0 ათასი ლარის ოდენობით (კოდით 30 00). ზღვრული მოცულობის ზემოთ მოთხოვნილმა ჯამურმა ასიგნებამ შეადგინა სულ 720,000.0 ათასი ლარი. მეორე წარდგენით სამინისტრომ ზღვრული მოცულობის ფარგლებში მოითხოვა წლიური ჯამური ასიგნება 570,000.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ზღვრული მოცულობის ზემოთ სულ - 600,000.0 ათასი ლარი. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროს დაუმტკიცდა წლიური ჯამური ასიგნება 600,000.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის პროგრამული კოდით 30 01 (საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება) სამინისტროს დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 578,177.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის განწერის შედეგად სამინისტროს ცენტრალურ აპარატს (კოდით 30 01 01 01) დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 168,147.2 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილების და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შედეგად სამინისტროს ცენტრალური აპარატის (30 01 01 01) წლიურმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 159,592.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის დაგეგმვასა და ასიგნებათა გადანაწილების განხორციელებაში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ:

2013 წლის ბიუჯეტის განწერის შედეგად (სამინისტროს მიერ წარდგენილი გეგმის შესაბამისად) ფინანსთა სამინისტრომ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით სამინისტროს ცენტრალურ აპარატს დაუმტკიცა წლიური ასიგნება 80,561.0 ათასი ლარის ოდენობით (კოდით 30 01 01 01). ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა (კოდით 30 00) ფარგლებში გადანაწილების შედეგად ცენტრალური აპარატის აღნიშნული მუხლი წლის განმავლობაში შემცირდა 18,337.2 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის N2157 განკარგულებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროს (30 00) გამოეყო სულ 14,000.0 ათასი ლარი. მათ შორის სამინისტროს გადაწყვეტილებით ცენტრალურ აპარატზე (კოდი 30 01 01 01) განაწილდა 11,948.4 ათასი ლარი („საქონელი და მომსახურება“ - 8,116.4 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების ზრდა“ - 3,832.0 ათასი ლარი). შედეგად „საქონელი და მომსახურების“ მუხლის 2013 წლის დაზუსტებულმა გეგმამ (კოდით 30 01 01 01) შეადგინა 70,340.2 ათასი ლარი. აღნიშნული მუხლის ჯერ მნიშვნელოვანი ოდენობით შემცირება და შემდეგ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ხარჯზე მნიშვნელოვანი ოდენობით გაზრდა 2013 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. ამის ერთერთი მაგალითია აგრეთვე შემდეგი გარემოებაც:

- სამინისტრომ 2013 წლის 9 დეკემბრის N2511699 წერილით მიმართა ფინანსთა სამინისტროს ასიგნებათა გადანაწილებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც 2013 წლის 16 დეკემბრის N1193 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის საფუძველზე სამინისტროს ცენტრალურ აპარატს (30 01 01 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლით ასიგნება შეუმცირდა 5,200.0 ათასი ლარით, ხოლო „შრომის ანაზღაურების“ და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლები გაეზარდა შესაბამისად 4,500.0 ათასი ლარით და 700.0 ათასი ლარით. მეორე დღეს, სამინისტრომ 2013 წლის 10 დეკემბრის N2514175 წერილით მიმართა ფინანსთა სამინისტროს 20,000.0 ათასი ლარით ასიგნებების გაზრდის მოთხოვნით (ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის). შედეგად საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით (N2157) გამოყოფილი თანხიდან „საქონელი და მომსახურების“ მუხლი ისევ გაიზარდა 8,116.4 ათასი ლარით. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან ფაქტობრივად არაპირდაპირი გზით 4,500.0 ათასი ლარით დაფინანსებულია არა ინფრასტრუქტურული პროექტები, არამედ „შრომის ანაზღაურების“ მუხლი, ხოლო 700.0 ათასი ლარით - „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ¹ სარეზერვო ფონდების დანიშნულებას (სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსება).

გარდა ამისა, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებით დაფინანსებულია არა ახალი ფინანსური ვალდებულებები, არამედ სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფამდე წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებებით (იხილე დანართი ელექტრონული სახით) აღებული ფინანსური ვალდებულებები. სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნების გარეშე არსებული ვალდებულებები ვერ დაფინანსდებოდა. აქედან გამომდინარე არასწორი დაგეგმვისა და ასიგნებათა დაუსაბუთებლად გადანაწილებების შედეგად შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ სარეზერვო ფონდიდან ასიგნების გამოყოფის მომენტამდე არსებული

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები აჭარბებდა არსებულ ასიგნებებს, რითაც დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა².

შრომის ანაზღაურების მუხლით სამინისტროს (30 01 01 01) 2014 წლის 12 თვის საწყისმა გეგმამ შეადგინა 63,240.2 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით (გაწეულია 41,480.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი) სამინისტროს თანამშრომელთა რაოდენობის და თანამდებობრივი სარგოების ცვლილება არ მომხდარა იმ მასშტაბით, რომ საჭირო გამხდარიყო შრომის ანაზღაურების მუხლის დაგეგმვა 21,760.2 ათასი ლარით მეტი ოდენობით (52%-ით მეტი). შედეგად წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილებით გეგმა დაზუსტდა 50,903.9 ათას ლარამდე (შემცირდა დაგეგმილი ოდენობის 19%-ით). აღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ შრომის ანაზღაურების მუხლი გაზრდილი ოდენობით იყო დაგეგმილი.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით სამინისტროს (30 01 01 01) 2014 წლის 12 თვის საწყისმა გეგმამ შეადგინა 835.0 ათასი ლარი, რაც არ იყო სწორად დაგეგმილი იმის გამო, რომ წლის განმავლობაში წარმოიშვა საჭიროება გეგმა დაზუსტებულიყო 1,277.1 ათას ლარამდე (გაიზარდა 53%-ით). გადახდამ შეადგინა 1,276.0 ათასი ლარი. აღნიშნული მუხლით პირველ კვარტალში განწერილი იყო 206.3 ათასი ლარი. სამინისტროს მოთხოვნებით პირველი კვარტალის გეგმა ჯერ გაიზარდა 200.0 ათასი ლარით (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N156, 04.03.2014წ.), 150.0 ათასი ლარით (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N197, 14.03.2014წ.) და 110.0 ათასი ლარით (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N214, 18.03.2014წ.), ხოლო შემდეგ შემცირდა და საბოლოოდ შეადგინა 135.4 ათასი ლარი. აღნიშნული გამოწვეული იყო სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ასიგნებათა ე.წ. „ტრანზიტის გზით“ გადანაწილებით (ცენტრალური აპარატის ასიგნებაზე გავლით), რაც გაორმაგებულ ოპერაციებს საჭიროებს და მიზანშეუწონელია.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით სამინისტროს (30 01 01 01) 2014 წლის 12 თვის საწყისმა გეგმამ შეადგინა 9,172.0 ათასი ლარი. ასიგნებათა გადანაწილების და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21,615.3 ათასი ლარი (გეგმა გაიზარდა 135%-ით), რაც ასევე არასწორ დაგეგმვაზე მიუთითებს.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოიყო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის N2141 განკარგულებით - სამინისტროზე (30 00) სულ 5,000.0 ათასი ლარი. სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე (კოდი 30 01 01 01) განაწილდა 3,130.6 ათასი ლარი („საქონელი და მომსახურება“ - 2,030.6 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების ზრდა“ - 1,100.0 ათასი ლარი). 2013 წლის მსგავსად სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებით დაფინანსებულია არა ახალი ფინანსური ვალდებულებები, არამედ სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფამდე წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებებით (იხილე დანართი ელექტრონული სახით) აღებული ფინანსური ვალდებულებები. სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნების გარეშე არსებული ვალდებულებები ვერ დაფინანსდებოდა. შედეგად ზემოაღნიშნულის მსგავსად დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნა.

² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა.

ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსში ანგარიშზე N1110 (ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში) ირიცხებოდა ნაშთი 2,044.8 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ამავე ანგარიშზე ირიცხებოდა ნაშთი 95.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 51.8 ათასი ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ სალაროში არსებული გამოუყენებელი ფულადი სახსრების დაბრუნება სახელმწიფო ბიუჯეტში არ ხდებოდა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. კერძოდ, 2012 წლის საბიუჯეტო ასიგნებიდან სალაროში დარჩენილი აუთვისებელი ნაშთიდან (2,044.8 ათასი ლარი) 2,039.0 ათასი ლარი ბიუჯეტში დაბრუნებულია 2013 წლის 23 იანვარს, ხოლო 2013 წლის საბიუჯეტო ასიგნებიდან სალაროში დარჩენილი აუთვისებელი ნაშთი (95.4 ათასი ლარი) ბიუჯეტში დაბრუნებულია 2014 წლის 21 იანვარს. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე. კერძოდ, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების მიხედვით პროგრამის „საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვა“ (30 01) ფარგლებში გაწეულია 559,764.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი (რომელიც დათვლილია სახაზინო სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშიდან გაცემული თანხების მიხედვით). რეალურად კი გაწეული საკასო ხარჯის ოდენობამ შეადგინა 2,044.8 ათასი ლარით ნაკლები - 557,719.4 ათასი ლარი (ცდომილება წარმოიშვა იმის გამო, რომ სალაროში არსებული აუთვისებელი თანხები წლის დამთავრებამდე არ დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში). ანალოგიურ სიტუაციას აქვს ადგილი 2013 წელთან მიმართებითაც (შედარებით ნაკლები მასშტაბით). ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება სამინისტრომ სალაროში დარჩენილი აუთვისებელი თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში დააბრუნოს იმ ფისკალური წლის დამთავრებამდე, რომლის საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯზეც წარმოიშობა სალაროს აუთვისებელი ნაშთი.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ანგარიშზე N1260 (დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში) ირიცხებოდა ნაშთი 127.8 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 260.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 51.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები წარმოადგენს სამინისტროს მიერ არასაცხოვრებელი ფართების იჯარებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც აკუმულირდება სადეპოზიტო ანგარიშზე და ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვას. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის განმავლობაში ფართების იჯარებიდან მიღებული თანხებიდან (260.9 ათასი ლარი საწყისი ნაშთის ჩათვლით) სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გადარიცხული არცერთი ლარი. ხოლო 2014 წლის განმავლობაში მიღებული თანხებიდან (349.2 ათასი ლარი საწყისი ნაშთის ჩათვლით) ბიუჯეტში გადარიცხულია მხოლოდ 297.7 ათასი ლარი, რაც გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე. მიზანშეწონილი იქნება სამინისტრომ წლის განმავლობაში მიღებული საიჯარო შემოსავლები მთლიანად მიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში იმავე წლის დამთავრებამდე.

ანგარიშზე N1290 (სხვა ანგარიშები ხაზინაში) 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 130.8 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენდა საგრანტო

დაფინანსებიდან დარჩენილ აუთვისებელ ნაშთს. ნაშთის ათვისება არ მომხდარა 2014 წლის განმავლობაში და 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობითაც ირიცხებოდა იგივე ნაშთი.

ანგარიშზე N1359 (მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით) აუდიტის პერიოდში ირიცხებოდა მუდმივი ნაშთი 182.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენდა გასულ წლებში სამინისტროს საწყობის დანაკლისს საწვავის ტალღებთან დაკავშირებით (42.0 ათასი ლარი) და ბალანსზე გადმოცემულ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დანაკლისებს (131.5 ათასი ლარი და 8.9 ათასი ლარი).

ანგარიშებზე N1431 (მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით), N1432 (მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით) და N1530 (სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯამურად ირიცხებოდა ნაშთი 9,092.4 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯამურად ირიცხებოდა ნაშთი 13,909.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო აუდიტის პერიოდის ბოლოსთვის (2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) - 5,949.0 ათასი ლარის ოდენობით. აუდიტის პერიოდის ბოლოს რიცხული ნაშთიდან ნაწილი წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებებს, ხოლო უდიდესი ნაწილი წარმოადგენს გასული წლების დავალიანებებს. დავალიანებების არსებობას განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

- შპს „აქსმშენს“ ერიცხება 2008 წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 581.3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით აქვს დაკისრებული. მაგრამ გაურკვეველი მიზეზით თანხა დაბრუნებული არ არის ბიუჯეტში.

- შპს „ზიმოს“ 2015 წლის 1 იანვრისთვის ერიცხებოდა დავალიანება 88.3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოშობილია 2013 წლის 1 იანვრამდე. გაურკვეველი მიზეზით მომწოდებელი ბიუჯეტში არ აბრუნებს დავალიანებას, ხოლო 2013 წლის 11 ივლისს სამინისტროს მიერ სხვა ვალდებულების ფარგლებში შპს „ზიმოსთვის“ გადახდილია 268.9 ათასი ლარი.

- ანალოგიურად, შპს „ერ-თი-ჯის“ 2015 წლის 1 იანვრისთვის ერიცხებოდა დავალიანება 30.8 ათასი ლარის ოდენობით. გაურკვეველი მიზეზით არც ეს მომწოდებელი არ აბრუნებს დავალიანებას. 2014 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ სხვა ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ერ-თი-ჯისთვის“ გადახდილია ჯამურად 319.9 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს მიმართ გასული წლების დავალიანებები ერიცხებათ სხვადასხვა საწარმოებს (იხილე დანართი), რომელთა მიმართ არ არის განხორციელებული ქმედითი ღონისძიებები თანხების ამოსაღებად.

ანგარიშზე N1440 (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 3,878.1 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 3,886.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 3,900.7 ათასი ლარის ოდენობით. დავალიანების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაკარგულ აქტივებს.

ანგარიშზე N1450 (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 5,556.5 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის

მდგომარეობით - 3,968.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 4,869.1 ათასი ლარის ოდენობით.

ანგარიშებზე N3100 – N3333 (ვალდებულებები) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯამურად ირიცხებოდა ნაშთი 11,417.9 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 11,562.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 11,408.8 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს შრომის ანაზღაურების მუხლით 2005 წლამდე წარმოშობილ დავალიანებებს (2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 8,266.9 ათასი ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულება ამავე თარიღით ირიცხებოდა 260.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 3034.8 ათასი ლარი წარმოადგენდა „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გასულ წლებში წარმოშობილ დავალიანებებს (მათ შორის 1996-2001 წლებში წარმოშობილს), რომელთა რეალობა დოკუმენტურად (ურთიერთშედარების აქტები და ა.შ.) დადასტურებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 27 ივლისის N950 ბრძანების საფუძველზე შექმნილი იყო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შემსწავლელი კომისია, საკითხი ბოლომდე შესწავლილი და დასრულებული არ არის. აუცილებელია განხორციელდეს საკითხის დროული შესწავლა, რათა ხანდაზმული და არარეალური დავალიანებები ჩამოიწეროს ბალანსიდან.

აუდიტის პერიოდში სამინისტრო ბუღალტრულად არ აწარმოებდა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის გამო გადასახდელი საურავების აღრიცხვას (ანგარიშზე N1354 - მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით). მაგალითად, შპს „ოლბერს“ 2013 წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებებით (14 ივნისის N642, 8 აგვისტოს N837, 10 ოქტომბრის N1048 და 21 ოქტომბრის N1084) გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის გამო დაეკისრა საურავების გადახდა ჯამურად 49.4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილი იქნა 2014 წლის განმავლობაში. ბალანსში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზემოაღნიშნული მოთხოვნა ასახული არ არის.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ბალანსზე (ანგარიშებზე N2100-N2400) ერიცხებოდა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები ჯამურად 145,481.0 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 170,761.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 220,350.4 ათასი ლარის ოდენობით.

სამინისტროს მიმართვის საფუძველზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2014 წლის აპრილში განხორციელდა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ზოგიერთი არასაცხოვრებელი შენობის გადაფასება (ექსპერტიზის

დასკვნა N001792214, გაგზავნილი 2014 წლის 11 აპრილის N5001617814 წერილით). აღნიშნული დასკვნის მიხედვით ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. N10-ში მდებარე სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობის 1მ^2 ფართი შეფასებულია 350 აშშ დოლარად, რაც იმ დროისთვის არსებული კურსით (1 აშშ დოლარი-1.7485 ლარი) შეადგენდა 612 ლარს. სულ 19661.26 მ^2 ფართი შეფასებულია 12,032.7 ათას ლარად. ანალოგიურად, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე N72-ში მდებარე შენობა (21889.84 მ^2) შეფასებულია 13,396.6 ათას ლარად (1მ^2 - ასევე 350 აშშ დოლარად). ხოლო ქ. თბილისში, 9 აპრილის ქ. N4-ში მდებარე შენობა (4970.36 მ^2) შეფასებულია 3,911.7 ათას ლარად (1მ^2 - 450 აშშ დოლარად).

სამინისტროს 2014 წლის კვარტალურ ბალანსებში მექანიკური შეცდომის შედეგად გ. გულუას ქ. N10-ში და 9 აპრილის ქ. N4-ში მდებარე შენობების გადაფასებები აღრიცხული იყო არასწორად, კერძოდ 1მ^2 - 350 ლარად (ნაცვლად 350 აშშ დოლარისა) და 450 ლარად (ნაცვლად 450 აშშ დოლარისა), ხოლო ვაჟა-ფშაველას გამზირზე N72-ში მდებარე შენობა საერთოდ არ იყო გადაფასებული. შედეგად კვარტალურ ბალანსებში ანგარიში N2110 (შენობა-ნაგებობები) თანხობრივად არასწორად იყო წარმოდგენილი (14,940.3 ათასი ლარით ნაკლებად). აუდიტის მიმდინარეობისას გ. გულუას ქ. N10-ში და 9 აპრილის ქ. N4-ში მდებარე შენობების გადაფასებებთან დაკავშირებული ხარვეზი გამოსწორებული იქნა. მაგრამ ვაჟა-ფშაველას გამზირზე N72-ში მდებარე შენობა 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში კვლავ არასწორად იყო აღრიცხული (8,114.0 ათასი ლარით ნაკლებად).

გარდა ამისა, სამინისტროს სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქ. თბილისში, გ. გულუას ქ. N10-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით 20428 მ^2 (საკადასტრო კოდი - 01.18.05.002.036), რომელიც ექსპერტიზის იმავე დასკვნის მიხედვით შეფასებულია 1მ^2 - 232 აშშ დოლარად (406 ლარად). სულ აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეფასებულია 8,293.8 ათას ლარად. ანალოგიურად, სამინისტროს სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე N72-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით 59035 მ^2 (საკადასტრო კოდი - 01.14.03.038.044), რომელიც ექსპერტიზის იმავე დასკვნის მიხედვით შეფასებულია 1მ^2 - 363 აშშ დოლარად (635 ლარად). სულ აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეფასებულია 37,487.2 ათას ლარად. სამინისტროს ასევე გადაცემული აქვს ქ. თბილისში, 9 აპრილის ქ. N4-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით 4841 მ^2 (საკადასტრო კოდი - 01.15.05.063.004), რომელიც ექსპერტიზის იმავე დასკვნის მიხედვით შეფასებულია 1მ^2 - 986 აშშ დოლარად (1725 ლარად). სულ აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეფასებულია 8,350.7 ათას ლარად.

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები (ჯამური ღირებულებით 54,413.7 ათასი ლარი) ასახული არ არის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით³, რის გამოც ანგარიში N2400 (არაწარმოებული აქტივები) არასწორად არის წარმოდგენილი.

³ 9 აპრილის N4 და ვაჟა ფშაველას N72 მდებარე მიწის ნაკვეთები ასახულია მხოლოდ ექსპერტის მიერ აღნიშნული ნაკვეთების შეფასების საფასურის მიხედვით - შესაბამისად 492 ლარად და 752.13 ლარად.

შეწყვეტილი ტენდერები

2013 წლის 22 მარტს სამინისტროსა და შპს „ესსას“ შორის კონკურსში გამარჯვების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება N372 სახელმწიფო შესყიდვაზე ზემო ფონიჭალაში მდებარე შსს-ს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესრულებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილია 41.4 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სამინისტრომ 2013 წლის 16 აპრილს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130008653) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,669.1 ათასი ლარი. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი წარმოადგინა სს „მონოლითმშენმა“ - 1,150.5 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2013 წლის 28 მაისის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე ტენდერი შეწყვეტილად იქნა გამოცხადებული იმ მოტივით, რომ ობიექტის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შეფასდა არაღმარაგადიანად (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N001828613 დასკვნის საფუძველზე). გადაწყდა, რომ შესყიდვა განხორციელებულიყო კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის გათვალისწინებით ახალი ელექტრონული ტენდერის საშუალებით. 2013 წლის 16 აპრილს სამინისტრომ იმავე მიზნით გამოაცხადა ახალი ელექტრონული ტენდერი (SPA130012008) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,640.3 ათასი ლარი. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი წარმოადგინა შპს „NBG“ - 1,122.0 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2013 წლის 1 ივლისის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე აღნიშნული ტენდერიც შეწყვეტილად იქნა გამოცხადებული იმ მოტივით, რომ საცურაო აუზის მშენებლობა საჭიროებას აღარ წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე. კერძოდ, გაუგებარია საცურაო აუზის მშენებლობის მიზანშეწონილობის განსაზღვრა რატომ მოხდა საპროექტო სამუშაოების შესყიდვის და შემდგომ ობიექტის ასაშენებლად ორი ტენდერის გამოცხადების შემდეგ, როცა პირიქით უნდა მომხდარიყო.

2013 წლის 11 აპრილს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130008330) მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დუშეთის რაიონული სამმართველოს ჟინვალის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 690.0 ათასი ლარით. ზემოაღნიშნულის ანალოგიურად, სატენდერო კომისიის 2013 წლის 26 აპრილის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე ტენდერი შეწყვეტილად იქნა გამოცხადებული იმ მოტივით, რომ აღნიშნულ ეტაპზე ობიექტის სამუშაოების შესყიდვა აღარ წარმოადგენდა საჭიროებას. აღნიშნული ობიექტის საპროექტო სამუშაოები შეასრულა შპს „ესსამ“ შსს მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოსთან 2012 წლის 23 აპრილს გაფორმებული N416 ხელშეკრულების შესაბამისად, რისთვისაც ამ უკანასკნელის მიერ გადახდილია 14.0 ათასი ლარი. გარდა ამისა პროექტის კორექტირებისთვის 2013 წლის 26 მარტის N383 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ესსასთვის“ სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ დამატებით გადახდილია 3.3 ათასი ლარი.

2014 წლის 22 ივლისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140017834) შსს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო

სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 458.4 ათასი ლარით. ელექტრონული ვაჭრობის რაუნდები დამთავრდა 2014 წლის 13 აგვისტოს, რომლის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი წარმოადგინა შპს „მემონტაჟე ნიკამ“ - 377.1 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულის ანალოგიურად, სატენდერო კომისიის 2014 წლის 13 ნოემბრის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე ტენდერი შეწყვეტილად იქნა გამოცხადებული იმ მოტივით, რომ აღნიშნულ ეტაპზე ობიექტის სამუშაოების შესყიდვა აღარ წარმოადგენდა საჭიროებას. გადაწყვეტილება მიღებული იქნა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამშენებლო სამმართველოს 2014 წლის 12 ნოემბრის N2273024 პატაკის საფუძველზე. გაურკვეველია, თუ რატომ იყო სატენდერო პროცედურების განხორციელება შეჩერებული სამი თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული პატაკის წარმოდგენამდე. აღნიშნული ობიექტის საპროექტო სამუშაოები შეასრულა შპს „ვოლმა“ სამინისტროსთან 2014 წლის 30 მაისს გაფორმებული N457 ხელშეკრულების შესაბამისად, რისთვისაც გადახდილი იქნა 14.5 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული ობიექტის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება დაიწყო 2015 წელს.

შპს „ნიუ კონსტრაქშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2013 წლის 1 ივნისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130012005) სოფელ გუდაურში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში მყოფ ტერიტორიაზე პოლიციის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. ტენდერში გამარჯვების საფუძველზე სატენდერო წინადადების შესაბამისად სამინისტროსა და შპს „ნიუ კონსტრაქშენს“ შორის 2013 წლის 4 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება N712 ღირებულებით 1,200.0 ათასი ლარი. 2013 წლის 10 ოქტომბრის N1 შეთანხმების ოქმის საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 1,320.0 ათას ლარამდე. მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2) მიხედვით ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1,311.5 ათასი ლარი, რომელიც სამინისტროს მიერ ეტაპობრივად გადახდილი იქნა. როგორც პასუხისმგებელი პირების განმარტებით და შპს „ნიუ კონსტრაქშენს“ მიერ სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილებიდან (N130, 29.08.2013წ. და N151, 24.09.2013წ.) გაირკვა, სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ არსებული საპროექტო ნახაზის მიხედვით შენობის მდებარეობა ხვდებოდა მაღალი ძაბვის ქვეშ, რამაც გამოიწვია პროექტის ცვლილება. კერძოდ, შეიცვალა შენობის მდებარეობა, რამაც გამოიწვია ცვლილებები მიწის, საძირკვლების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებში. გარდა ამისა დაემატა თბოქსელის მოწყობის სამუშაოები, რომელიც თავიდან არ იყო გათვალისწინებული. არ შეცვლილა შენობის არქიტექტურული ნაწილი და მისი შესაბამისი სამუშაოების მოცულობა. გაურკვეველია, თუ რატომ განხორციელდა შენობის მიუღებელ ადგილას (მაღალი ძაბვის ქვეშ) დაპროექტება, რამაც გამოიწვია პროექტის ცვლილება და ხარჯთაღრიცხვის გაზრდა.

გარდა ამისა, როგორც მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2) შემოწმებით გამოვლინდა მიწის, საძირკვლის და კეთილმოწყობის სამუშაოებზე გამოყენებულია ბალასტი და ხრები. ამ მასალების მოხმარებასთან დაკავშირებული მანქანა-მექანიზმების გამოყენების

ღირებულებები არსებული ნორმების⁴ შესაბამისად ფორმა N2-ებში ჩადებულია ცალკე პოზიციებში. ცალკე პოზიციებად არის დარიცხული ასევე სატრანსპორტო ხარჯებიც. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბალასტის და ხრემის მოხმარებასთან დაკავშირებით ფორმა N2-ებში მანქანა-მექანიზმების გამოყენების ღირებულებები ჩადებულია კიდევ დამატებით 10-15 ლარის ოდენობით 1მ³-ზე, რაც არ შეესაბამება არსებულ ნორმებს. სულ დამატებით ჩადებული თანხის ოდენობა შეადგენს 35.7 ათას ლარს დანარიცხების გარეშე (იხილე დანართი ელექტრონული სახით). დანარიცხების გათვალისწინებით ზემოაღნიშნული თანხა შეადგენს 46.0 ათას ლარს (35.7*1.04*1.05*1.18). პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რელიეფიდან გამომდინარე ბალასტის და ხრემის მიწოდება პირდაპირ ობიექტამდე შეუძლებელი იყო და იყრებოდა დაახლოებით 70 მეტრის მანძილზე. აქედან გამომდინარე საჭიროებდა დამატებით გადაზიდვას ტრაქტორის საშუალებით.

ფართის იჯარები

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N462 განკარგულებით (რომელიც გამოცემულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე) სამინისტროს მიეცა თანხმობა ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის აუქციონის გარეშე, დროებით, სასყიდლიან სარგებლობაში (არაუმეტეს 5 წლის ვადით) გადაეცა სამინისტროსთვის სარგებლობაში გადაცემული ან/და მის ბალანსზე რიცხული ქონება. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის N493 განკარგულებით ზემოაღნიშნულ განკარგულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ქონების სარგებლობაში გადაცემის წლიური საფასური უნდა განსაზღვრულიყო დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე სამინისტროს მიერ უძრავი ქონების სასყიდლიან სარგებლობაში (ფართის იჯარა) გაცემასთან დაკავშირებით სხვადასხვა მეწარმე სუბიექტებთან გაფორმებულია 40 ხელშეკრულება (რომლებიც მოქმედებდა აუდიტის პერიოდში - 2013-2014 წლებში). ხელშეკრულებები ძირითადად გაფორმებულია დახურული ტიპის კვების ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ქონებით სარგებლობის წლიური საფასურის განსაზღვრის მიზნით სამინისტროს მიერ განხორციელებულია იმ შენობების საექსპერტო შეფასება სადაც განთავსებული იყო იჯარით გასაცემი ფართები. შეფასება განხორციელებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

შსს ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისა და მორიგე თანამშრომლების კვებით უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130025962) გამარჯვებისა და ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე სამინისტროსა და შპს

⁴ СНиП IV-2-82, კრებული N27, პარაგრაფი 7, ცხრილი 27-11, გრაფა 2.

„ნიგი 2009“-ს შორის 2014 წლის 19 მაისს ფართების იჯარებთან დაკავშირებით გაფორმდა 4 ხელშეკრულება:

- ხელშეკრულება N1 - ქ. თბილისში 9 აპრილის ქ. N4-ში მდებარე შენობაში არსებული 96მ² ფართის (ღირებულებით 374.1 ათასი ლარი) იჯარაზე წლიური საიჯარო გადასახდელით 18.7 ათასი ლარი.

- ხელშეკრულება N2 - ქ. თბილისში გულუას ქ. N10-ში მდებარე შენობაში არსებული 213მ² ფართის (ღირებულებით 376.9 ათასი ლარი) იჯარაზე წლიური საიჯარო გადასახდელით 18.9 ათასი ლარი.

- ხელშეკრულება N3 - ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირ N72-ში მდებარე შენობაში არსებული 213მ² ფართის (ღირებულებით 503.7 ათასი ლარი) იჯარაზე წლიური საიჯარო გადასახდელით 25.2 ათასი ლარი.

- ხელშეკრულება N4 - ქ. თბილისში ნოე რამიშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობაში არსებული 60მ² ფართის იჯარაზე (ღირებულებით 513.1 ათასი ლარი) წლიური საიჯარო გადასახდელით 25.7 ათასი ლარი.

ხელშეკრულებების მოქმედების ვადებად განსაზღვრული იყო 2014 წლის 11 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი. შპს „ნიგი 2009“-ს ჯამურად წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადაეხადა 88.5 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ კომპანიას აღნიშნული თანხიდან 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში გადახდილი არ ჰქონდა არცერთი ლარი. ხელშეკრულებების პირობების მიხედვით ამ თარიღისთვის მას ეკუთვნოდა ასევე საურავის გადახდა 5.4 ათასი ლარის ოდენობით (გადაუხდელი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე). დავალიანება შეადგენდა სულ 93.9 ათას ლარს. 2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით დავალიანება საურავის ჩათვლით შეადგენდა 115.4 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ზემოაღნიშნულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე შპს „ნიგი 2009“-სთან გაფორმებული ჰქონდა ასევე 2014 წლის 14 იანვრის N70 ხელშეკრულება კვებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ღირებულებით 1,427.1 ათასი ლარი. წლის განმავლობაში გადახდილია 1,196.2 ათასი ლარი. ზემოაღნიშნული მოთხოვნა სამინისტროს არ ჰქონდა ბუღალტრულად აღრიცხული. ბუღალტრული აღრიცხვა განხორციელდა აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლის პროცესში (დარიცხვები გატარდა 2014 წლის 31 დეკემბრის თარიღით). 2015 წლის განმავლობაში (მარტი, აპრილი) სამინისტრომ განახორციელა ასევე წერილობითი შეტყობინებები და საქმე გადაეგზავნა შსს იურიდიულ დეპარტამენტს შემდგომი რეაგირებისთვის.

ანალოგიურად, სამინისტროსა და შპს „ლაგი 2009“-ს შორის 2014 წლის 19 მაისს ფართის იჯარასთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულება N6 ქ. ქუთაისში ტიცინა ტაბიძის ქ. N27-ში მდებარე შენობაში არსებული 37მ² ფართის (ღირებულებით 54.5 ათასი ლარი) იჯარაზე წლიური საიჯარო გადასახდელით 2.7 ათასი ლარი. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არც ამ კომპანიას ჰქონდა ბიუჯეტში გადახდილი თანხა. ამ თარიღისთვის მას ეკუთვნოდა ასევე საურავის გადახდა 0.2 ათასი ლარის ოდენობით. სამინისტროს ტენდერში (SPA130025873) გამარჯვების საფუძველზე შპს „ლაგი 2009“-სთან გაფორმებული ჰქონდა ასევე 2014 წლის 1 იანვრის N10 ხელშეკრულება კვებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ღირებულებით 139.4 ათასი ლარი. წლის განმავლობაში გადახდილია 115.7

ათასი ლარი. აუდიტის მიმდინარეობისას შპს „ლაგი 2009“-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი იქნა აღნიშნული დავალიანების მხოლოდ ძირითადი თანხა - 2.7 ათასი ლარი.

უცხოური საწარმოს ფილიალ „თულიპ იმპორტ & ექსპორტ კო ლიმიტედის აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლობასთან საქართველოში“ გაფორმებული ხელშეკრულება

2013 წლის 16 აგვისტოს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130018038) გარე ტანსაცმლის (საწვიმარი ლაბადა, შიდა მაისური) შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 376.0 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი ვაჭრობის პირველივე რაუნდში დააფიქსირა შპს „ანა 2013“-მა - 270.0 ათასი ლარი. კონკურენცია გაგრძელდა მე-2 და მე-3 რაუნდებშიც - შპს „ნიტექს“ და უცხოური საწარმოს ფილიალ „თულიპ იმპორტ & ექსპორტ კო ლიმიტედის აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლობას საქართველოში“ შორის, რის შედეგადაც მომდევნო დაბალი ფასი დააფიქსირა უცხოური საწარმოს ფილიალმა „თულიპ იმპორტ & ექსპორტ კო ლიმიტედის აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლობამ საქართველოში“ - 316.0 ათასი ლარი.

სატენდერო კომისიის 2013 წლის 27 სექტემბრის სხდომის ოქმის N2 მიხედვით ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების მქონე შპს „ანა 2013“ დისკვალიფიცირებული იქნა გამოცდილების უქონლობის მოტივით (სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო მინიმუმ ერთი ანალოგიური მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა). თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი წერილი, რომლის მიხედვითაც შპს „ანა 2013“-ს მიეცემოდა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების საშუალება, რითაც დარღვეული იქნა კანონმდებლობის მოთხოვნა⁵.

სატენდერო კომისიის იმავე სხდომის ოქმის მიხედვით ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა მომდევნო დაბალი ფასის მქონე უცხოური საწარმოს ფილიალი „თულიპ იმპორტ & ექსპორტ კო ლიმიტედის აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლობა საქართველოში“ სატენდერო წინადადებით 316.0 ათასი ლარი. 2013 წლის 10 ოქტომბერს სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება N1058 ზემოაღნიშნული საქონლის მიწოდებაზე.

ზემოაღნიშნული ტენდერის მიმდინარეობისას სამინისტროს მიერ სატენდერო პროცედურების სრულყოფილად დაცვის შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ დაზოგილი ყოფილიყო საბიუჯეტო სახსრები 46.0 ათასი ლარის ოდენობით.

⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები.

წარმომადგენლობითი ხარჯები

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის „წარმომადგენლობითი ხარჯების“ ქვემუხლით 2013 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ გაწეულია 1,859.7 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 2014 წლის განმავლობაში - 1,082.2 ათასი ლარის ხარჯი.

წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისას ზოგიერთ შემთხვევებში გაურკვეველია სტუმრების ვინაობა და რაოდენობა. მაგალითად:

- 2013 წლის 2 იანვარს რესტორან „სენატში“ გაიმართა ვახშამი, რისთვისაც შპს „სენატისთვის“ გადახდილია 15.5 ათასი ლარი (ა/ფ ეა-05 8749671). წარმოდგენილ დოკუმენტებში დაფიქსირებული არ არის სტუმრების ვინაობა და რაოდენობა.

- ანალოგიურად, 2013 წლის 19 აპრილს რესტორან „სენატში“ გაიმართა ვახშამი 50 კაცზე, რისთვისაც შპს „სენატისთვის“ გადახდილია 9.8 ათასი ლარი - საგადახდო მოთხოვნა N30861, 01.05.2013. დაფიქსირებული არ არის სტუმრების ვინაობა და ხარჯის გაწევის აუცილებლობა.

- 2013 წლის 1 აგვისტოს რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართა ვახშამი აზერბაიჯანელი სტუმრების საპატივცემულოდ, რისთვისაც შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდისთვის“ გადახდილია 22.9 ათასი ლარი (ა/ფ ეა-06 2839306). უცნობია, თუ რამდენი პირი ესწრებოდა ვახშამს და მათ შორის რამდენი იყო სტუმარი. იმავე დღეს რესტორან „კოპალაში“ გაიმართა ვახშამი ასევე აზერბაიჯანელი სტუმრების საპატივცემულოდ, რისთვისაც შპს „კოპალასთვის“ გადახდილია 9.7 ათასი ლარი (ა/ფ ეა-06 2876067). მიღება-ჩაბარების აქტიდან ირკვევა, რომ ვახშამი გაიმართა 45 პირზე. დაფიქსირებული არ არის თუ რამდენი იყო სტუმარი. ხოლო 8 აგვისტოს იმავე რესტორან „კოპალაში“ გაიმართა ვახშამი სომხეთიდან ვიზიტად მყოფი სტუმრების საპატივცემულოდ, რისთვისაც შპს „კოპალასთვის“ გადახდილია 9.6 ათასი ლარი (ა/ფ ეა-06 3003521). მიღება-ჩაბარების აქტიდან ირკვევა, რომ ვახშამი გაიმართა 40 პირზე. გაურკვეველია აქედან რამდენი იყო სტუმარი.

- ანალოგიურად, 2013 წლის 9 აგვისტოს რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართა ვახშამი ისევ აზერბაიჯანელი სტუმრების საპატივცემულოდ, რისთვისაც შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდისთვის“ გადახდილია 16.3 ათასი ლარი (ა/ფ ეა-06 3327856). ასევე უცნობია, თუ რამდენი პირი ესწრებოდა ვახშამს და მათ შორის რამდენი იყო სტუმარი.

- 2013 წლის 31 დეკემბრიდან 2014 წლის 3 იანვრამდე პერიოდში შსს დელეგაცია ვიზიტით იმყოფებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ქ. ანაკლიაში სასტუმროში განთავსებისთვის შპს „ლაზისთვის“ გადახდილია 3.8 ათასი ლარი (ა/ფ ეა-06 5702244). წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ დაქირავებული იყო სასტუმროს 19 ნომერი ერთი დღე-ღამით, თუმცა გაურკვეველია ვინ და რამდენმა პირმა იცხოვრა სასტუმროში. ვიზიტთან დაკავშირებით გაიმართა ასევე ვახშამი 62 პირზე, რისთვისაც იმავე შპს „ლაზისთვის“ გადახდილია 7.4 ათასი ლარი (ა/ფ ეა-06 5702479). დაფიქსირებული არ არის თუ ვინ ესწრებოდა ვახშამს და რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მისი გამართვა.

- 2014 წლის 11 მარტს გაიმართა ვახშამი 20 პირზე რესტორანში „მცხეთის დარბაზი“ სტუმრების გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „გუჯარისთვის“ გადახდილია 4.5 ათასი ლარი - ა/ფ ეა-36 0844911. სტუმრების რანგში იმყოფებოდნენ ბელორუსიის საგანგებო

სიტუაციების სამინისტროს დელეგაცია (5 პირი). ამავე დღეს რესტორან „კოპალაში“ გაიმართა ვახშამი 20 პირზე იმავე ბელორუსი სტუმრების გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „კოპალასთვის“ გადახდილია 3.7 ათასი ლარი - საგადახდო მოთხოვნა N26407, 02.04.2014. მეორე დღეს (2014 წლის 12 მარტს) რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართა ვახშამი 20 პირზე იმავე ბელორუსი სტუმრების გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდისთვის“ გადახდილია 8.2 ათასი ლარი - საგადახდო მოთხოვნა N26409, 02.04.2014.

- 2014 წლის 24 აპრილს რესტორან „ფუნიკულიორში“ გაიმართა ვახშამი 25 პირზე ისრაელიდან სტუმრად მყოფი პირების გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდისთვის“ გადახდილია 9.5 ათასი ლარი - ა/ფ ეა-06 7300422.

- 2014 წლის 8 მაისს ქ. ბათუმში გაიმართა ვახშამი, რისთვისაც შპს „აჭარულ-ლაზურისთვის“ გადახდილია 3.6 ათასი ლარი (ა/ფ ეა-70 2068792). წარმოდგენილი დოკუმენტებით არ ფიქსირდება თუ ვინ და რამდენი პირი იმყოფებოდა სტუმრის რანგში.

- 2014 წლის 30 მაისს ქ. ბათუმში პოლიციელის დღის აღსანიშნავად გაიმართა დაჯილდოების ცერემონია და ვახშამი მოწვეული სტუმრებისთვის. ვახშამი გაიმართა სასტუმრო „შერატონში“ 400 პერსონაზე, რისთვისაც სს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთისთვის“ გადახდილია 55.6 ათასი ლარი (ა/ფ ეა-02 7503911). წარმოდგენილი დოკუმენტებით არ ფიქსირდება თუ ვინ და რამდენი პირი იმყოფებოდა სტუმრის რანგში.

- 2014 წლის 4 სექტემბერს ქ. მცხეთაში რესტორან მუზეუმ „გუჯარში“ გაიმართა ვახშამი 15 პერსონაზე უკრაინული დელეგაციის გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „რესტორან მუზეუმ გუჯარისთვის“ გადახდილია 5.2 ათასი ლარი - ა/ფ ეა-36 1060718.

- 2014 წლის 29 ნოემბერს ქ. მცხეთაში რესტორან მუზეუმ „გუჯარში“ გაიმართა ვახშამი 14 პერსონაზე უკრაინული დელეგაციის გასამასპინძლებლად, რისთვისაც შპს „რესტორან მუზეუმ გუჯარისთვის“ გადახდილია 7.0 ათასი ლარი - საგადახდო მოთხოვნა N115016, 18.12.2014.

შრომის ანაზღაურება

სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2013 წლის საწყისმა გეგმამ შრომის ანაზღაურების მუხლით შეადგინა 41,854.6 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ - 41.483.9 ათასი ლარი. წლის განმავლობაში გაწეულია 41,480.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 30,690.5 ათასი ლარი, წოდებრივი სარგო - 830.0 ათასი ლარი, პრემია - 6,229.6 ათასი ლარი, დანამატი - 3,722.4 ათასი ლარი, კომპენსაცია - 7.5 ათასი ლარი.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2014 წლის საწყისმა გეგმამ შრომის ანაზღაურების მუხლით შეადგინა 63,240.2 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ - 50.903.0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში გაწეულია 50,860.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 37,783.2 ათასი ლარი, წოდებრივი სარგო - 1,076.7 ათასი ლარი, პრემია - 4,315.5 ათასი ლარი, დანამატი - 7,675.9 ათასი ლარი, კომპენსაცია - 9.1 ათასი ლარი.

„საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ თანამდებობის პირებზე პრემიები აღარ გაცემულა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). მინისტრის ბრძანებებით (მაგალითად, 2014 წლის N322პმ - N325პმ, ასევე N328პმ - N335პმ და სხვა) ზემოაღნიშნულ პირებს დაენიშნათ დანამატები.

შპს „გილმარი 2“-თან გაფორმებული ხელშეკრულება

2013 წლის 31 ოქტომბერს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130023758) შპს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კინოლოგიის სამსახურის ტერიტორიის კეთილმოწყობის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 778.6 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „გილმარი 2“-მა, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადებით 686.0 ათასი ლარი. სამინისტროსა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის 2013 წლის 6 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N1243 ზემოაღნიშნული თანხის ღირებულებით. 2014 წლის 27 თებერვლის შეთანხმების ოქმი N2-ის საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 65.4 ათასი ლარით და შეადგინა 751.4 ათასი ლარი. ღირებულების გაზრდის დოკუმენტურად დაფიქსირებული მიზეზები წარმოდგენილი ვერ იქნა. საწყისი და კორექტირებული ხარჯთაღრიცხვების შედარებით გაირკვა, რომ ღირებულების გაზრდის მიზეზი იყო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე როგორც მსხვილმარცვლოვანი, ასევე წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის რაოდენობის ზრდა მოსაწყობი ტერიტორიის ფართობის შეუცვლელად (სულ 3163 მ²). პასუხისმგებელი პირების განმარტებით სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირდა შეცდომა ფართობის ერთეულზე ასფალტობეტონის საჭირო ნორმასთან დაკავშირებით (დაფიქსირდა 65ტ/1000მ², ნაცვლად 97.4ტ/1000მ²-სა)⁶, რის გამოც სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ასფალტობეტონის რაოდენობა ვერ იქნებოდა საკმარისი ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნა მნიშვნელოვნად შეიცვალა (რამაც გავლენა მოახდინა შესყიდვის ობიექტის ღირებულებაზე), მიზანშეწონილი იქნებოდა ურთიერთშეთანხმებით შეწყვეტილი ყოფილიყო ხელშეკრულება და გამოცხადებულიყო ახალი ტენდერი.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 726.0 ათასი ლარი. 2014 წლის 4 ივნისის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე თანდართული ნაკრები ფორმა N2-ის შემოწმებით გაირკვა, რომ ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ლოკალური ხარჯთაღრიცხვის (ღირებულებით 221.3 ათასი ლარი) მე-3 და მე-4 პოზიციებში 3163 მ² ფართის ასფალტობეტონით მოწყობის სამუშაოებზე მექანიკური უზუსტობის შედეგად 10 ტონიანი სატკეპნის გამოსაყენებლად მანქანა/საათების რაოდენობად მსხვილმარცვლოვან ასფალტობეტონზე მითითებულია 237.23 მანქანა/საათი, ხოლო წვრილმარცვლოვანზე - 235.64 მანქანა/საათი (სულ 472.87 მანქანა/საათი), ნაცვლად

⁶ СНиП IV-2-82, კრებული N27, პარაგრაფი 19, ცხრილი 27-40, გრაფა 1.

თითოეულზე 35.1 მანქანა/საათისა⁷ (სულ 70.2 მანქანა/საათი). მანქანა/საათების რაოდენობა გაზრდილია 402.76-ით, რის შედეგადაც ხარჯთაღრიცხვის ღირებულება გაზრდილია 8.1 ათასი ლარით დანარიცხების გარეშე (402.76*20). დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნაღები ხარჯები - 7%, მოგება - 5% და დღგ - 18 %) სხვაობა შეადგენს 10.7 ათას ლარს.

შპს „ნიტექსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

სამინისტრომ ტანსაცმლის (პერანგები მოკლე მკლავებით და შარვლები) შესყიდვის მიზნით 2013 წლის 25 დეკემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130028816) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 583.8 ათასი ლარი (მისაწოდებელი იყო 10066 ცალი პერანგი და ამდენივე შარვალი). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ექვსმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს „ქოულ გრუპმა“ – 478.1 ათასი ლარი. მომდევნო დაბალი ფასი წარმოადგინა შპს „SANDIKO“-მ - 523.4 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2014 წლის 7 თებერვლის N2 სხდომის ოქმის მიხედვით ზემოაღნიშნული პრეტენდენტები დისკვალიფიცირებული იქნენ იმ მოტივით, რომ „SGS“ ლაბორატორიის დასკვნის მიხედვით მათ მიერ წარმოდგენილი შარვლის ნიმუშების ნაჭრის პროცენტული შემადგენლობა შეუსაბამოა იყო სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო შარვლის ქსოვილის შემცველობა: ბამბა - 50% +/- 10%, პოლიესტერი - 50% +/- 10%. ლაბორატორიის დასკვნის მიხედვით შპს „ქოულ გრუპის“ მიერ წარმოდგენილი შარვლის ნიმუშის ქსოვილის შემცველობამ შეადგინა: ბამბა - 60.9%, პოლიესტერი - 39.1%, ანუ ბამბა 0.9%-ით აღემატებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ნორმას. ხოლო შპს „SANDIKO“-ს მიერ წარმოდგენილი შარვლის ნიმუშის ქსოვილის შემცველობამ შეადგინა: ბამბა - 61.3%, პოლიესტერი - 38.7%, ანუ ბამბა 1.3%-ით აღემატებოდა მოთხოვნილ ნორმას. შემდეგი (რიგით მესამე) დაბალი ფასის მქონე სატენდერო წინადადება წარმოადგინა შპს „ელსელემამ“ – 533.5 ათასი ლარი. 2014 წლის 29 აპრილის N3 სხდომის ოქმის მიხედვით შპს „ელსელემამ“ დისკვალიფიცირებული იქნა. დისკვალიფიკაციის მოტივად მითითებულია ის გარემოება, რომ პრეტენდენტის მიერ დადგენილ ვადაში წარმოდგენილი ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ არ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნას (ქონებაზე ყადაღის არ არსებობა). თუმცა შპს „ელსელემამ“ 2014 წლის 13 მარტს (სატენდერო კომისიის სხდომის გამართვამდე) ხელმეორედ წარმოადგინა ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ, რომლის მიხედვითაც მას მოხსნილი ჰქონდა ქონებაზე ყადაღა (რაც საერთოდ ნახსენები არ არის სატენდერო კომისიის ზემოაღნიშნულ ოქმში). შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნიტექსი“ სატენდერო წინადადებით 553.6 ათასი ლარი (ერთი ცალი პერანგი - 24 ლარი, შარვალი - 31 ლარი), რომელთანაც 2014 წლის 22 მაისს ზემოაღნიშნულ თანხაზე გაფორმდა ხელშეკრულება N420.

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესში აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები:

⁷ СНиП IV-2-82, კრებული N27, პარაგრაფი 19, ცხრილი 27-39, გრაფა 1 (11.1მანქ/სთ*3.163*2=სულ 70.2 მანქ/სთ).

- მიზანშეუწონელია ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ შარვლის ნიმუშების ნაჭრის პროცენტულ შემადგენლობაში ბამბა 0.9%-ით აღემატებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ნორმას, რადგან დასაბუთებული არ არის თუ რა გავლენას მოახდენდა ეს გარემოება საქონლის თვისებებზე და რატომ იყო მიუღებელი. ანალოგიურად, მიზანშეუწონელი იყო იმავე მოტივით მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით არსებობდა შესაძლებლობა, რომ ზემოაღნიშნული ტენდერის ფარგლებში დაზოგილი ყოფილიყო გარკვეული ოდენობის საბიუჯეტო სახსრები.

- მიზანშეუწონელია აგრეთვე შემდეგი (რიგით მესამე) დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ მან დაგვიანებით (მაგრამ სატენდერო კომისიის სხდომის გამართვამდე) წარმოადგინა ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ.

- გამარჯვებულ პრეტენდენტთან შპს „ნიტექსთან“ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებიდან ექვსი დღის შემდეგ 2014 წლის 28 მაისის N1 შეთანხმებით ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა, რომ მოკლემკლავიანი პერანგების ნაცვლად უნდა განხორციელებულიყო ე.წ. „პოლოს მაისურების“ მიწოდება, რაც არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან წინასწარ არ ყოფილა წარმოდგენილი „SGS“ ლაბორატორიის დასკვნა ქსოვილის შემცველობასთან დაკავშირებით (რის გამოც დისკვალიფიცირებული იქნენ დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტები). მოგვიანებით დასკვნა წარმოდგენილი იქნა მხოლოდ სინათლესა და რეცხვაზე ფერის სიმტკიცესთან დაკავშირებით.

- ალტერნატიულ შემთხვევაში სამინისტროს შეეძლო გამოეყენებინა კანონმდებლობით⁸ მინიჭებული უფლებამოსილება და შეეწყვიტა შესყიდვის პროცედურა, გამოეცხადებინა ახალი ტენდერი დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაციით და კორექტირებული სავარაუდო ღირებულებით, რითაც მიეცემოდა საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურად დაზოგვის საშუალება.

შპს „მოდელების სახლი მატერიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2014 წლის 14 ივნისს სამინისტრომ ტანსაცმლის (პერანგები და შარვლები) შესყიდვის მიზნით კვლავ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140015206) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 860.0 ათასი ლარი (მისაწოდებელი იყო 10000 ცალი შარვალი და 20000 ცალი პერანგი). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ექვსმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს „2-თემ“ – 644.0 ათასი ლარი, რომელიც დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი საქონლის ნიმუშები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს (შსს

⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის გ¹ ქვეპუნქტის შესაბამისად.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის დასკვნის მიხედვით). მომდევნო დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ოლბერმა“ - 720.0 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2014 წლის 22 აგვისტოს N3 სხდომის ოქმის მიხედვით შპს „ოლბერი“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ დადგენილ ვადაში წარმოდგენილი არ იქნა საქონლის ნიმუშებთან დაკავშირებით ქართულ ენაზე ნათარგმნი „SGS“ ლაბორატორიის დასკვნა (როგორც განსაზღვრული იყო სატენდერო დოკუმენტაციით) და დაზუსტებული ფასთა ცხრილი, თუმცა დასკვნა ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი იყო. დისკვალიფიცირებული იქნენ აგრეთვე რიგით მესამე, მეოთხე და მეხუთე დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე პრეტენდენტები (შპს „SANDIKO“ - 730.0 ათასი ლარი, შპს „ბენი“ - 750.0 ათასი ლარი და შპს „ნიტექსი“ - 780.0 ათასი ლარი) იმ მოტივით, რომ მათ მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი საქონლის ნიმუშები. საბოლოოდ სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად გამოაცხადა ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „მოდელის სახლი მატერია“, რომელთანაც 2014 წლის 2 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N686 ღირებულებით 854.0 ათასი ლარი (ერთი ცალი შარვალი - 29.4 ლარი, პერანგი - 28 ლარი).

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესში აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები:

- მიზანშეუწონელია სხვადასხვა ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაციებით განსხვავებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნების დაწესება და პრეტენდენტების დისკვალიფიკაციისადმი განსხვავებული მიდგომა. კერძოდ, რიგით მეორე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „ოლბერის“ დისკვალიფიკაცია განხორციელდა იმ მოტივით, რომ მან არ წარმოადგინა ქართულ ენაზე ნათარგმნი „SGS“ ლაბორატორიის დასკვნა მაშინ, როცა სხვა ანალოგიურ ტენდერებში (მაგალითად SPA130028816) ასეთი მოთხოვნა დაწესებული არ იყო (სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ნიმუში გადაგზავნილი იქნა ლაბორატორიაში და წარმოდგენილი იქნა მხოლოდ დასკვნის ორიგინალი). არ არის აუცილებელი სატენდერო დოკუმენტაციით ისეთი მოთხოვნების განსაზღვრა, რომელთა შესრულება კანონმდებლობით ისედაც სავალდებულოა. შედეგად რაციონალური ხარჯვის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდებოდა პრეტენდენტს თარგმანის წარმოსადგენად მიეცემოდა დამატებითი ვადები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სატენდერო წინადადებების ფასებიდან გამომდინარე არსებობდა შესაძლებლობა, რომ განხორციელებულიყო საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია.

- ალტერნატიულ შემთხვევაში იმ ვითარებაში, როდესაც დისკვალიფიცირებული იქნენ აგრეთვე რიგით მესამე, მეოთხე და მეხუთე დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე პრეტენდენტები (მათ შორის ისეთი, რომელსაც სამინისტროსთვის ანალოგიური საქონლის მიწოდების პრაქტიკა უკვე გააჩნდა) და გამარჯვებული ხდებოდა ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, სამინისტროს შეეძლო გამოეყენებინა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე შეეწყვიტა შესყიდვის პროცედურა, გამოეცხადებინა ახალი ტენდერი კორექტირებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით (ტენდერის მიმდინარეობამ აჩვენა, რომ გაზრდილად იყო წარმოდგენილი). ამით სამინისტროს მიეცემოდა საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურად დაზოგვის საშუალება.

- შპს „მოდელის სახლი მატერიალთან“ ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს 2014 წლის 3 სექტემბერს შეთანხმების ოქმის (N1) საფუძველზე ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მისაწოდებელი პერანგების რაოდენობა განახევრდა - 20000 ერთეულიდან შემცირდა 10000 ერთეულამდე (შემცირდა ასევე ერთეულების ფასები: შარვალი - 29 ლარი, პერანგი - 25 ლარი). აღნიშნული ცვლილება შესყიდვის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზზე მიუთითებს.

მიზანშეწონილი იქნება სამინისტროს მიერ სატენდერო დოკუმენტაციით არ განისაზღვროს ისეთი მოთხოვნები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ, რათა ცალკეული პრეტენდენტებისთვის არ შეიქმნას ხელოვნურად შემზღუდავი ბარიერები. რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. ასევე მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული (თუ ეს ობიექტური მიზეზებით არ არის გამოწვეული) ტენდერების მიმდინარეობისას ყველაზე დაბალი ფასების მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია.

შპს „ჯეოსტილთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2013 წლის 29 აგვისტოს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130018845, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 74.1 ათასი ლარი) სხვადასხვა დანიშნულების ავეჯის მიწოდებაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ჯეოსტილმა“ სატენდერო წინადადებით 72.0 ათასი ლარი, რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 3 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N1017 ღირებულებით 72.0 ათასი ლარი. ავეჯის მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე (ანუ 2013 წლის 13 ოქტომბერი). მიწოდების აღნიშნული ვადა განსაზღვრული იყო სატენდერო დოკუმენტაციითაც. 2013 წლის 24 ოქტომბრის N1 შეთანხმების ოქმის შესაბამისად მიწოდების ვადა გაიზარდა და განისაზღვრა 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. 2013 წლის 29 ოქტომბრის N2 შეთანხმების ოქმის შესაბამისად განისაზღვრა დამატებით 1.1 ათასი ლარის ავეჯის მიწოდება 5 დღის ვადაში (რომელიც ვადაში იქნა მიწოდებული). 2013 წლის 31 დეკემბრის N3 შეთანხმების ოქმის შესაბამისად ავეჯის ძირითადი ნაწილის მიწოდების ვადა ისევ გაიზარდა და განისაზღვრა 2014 წლის 30 მარტის ჩათვლით. 2014 წლის 30 აპრილის N4 შეთანხმების ოქმის შესაბამისად მიწოდების ვადა ისევ გაიზარდა და განისაზღვრა 2014 წლის 30 აპრილის ჩათვლით. ვადების გაგრძელების მიზანშეწონილობა არ არის დასაბუთებული და გაურკვეველია მოტივი. აღნიშნული საქონელი (ღირებულებით 72.0 ათასი ლარი) ფაქტობრივად მიწოდებული იქნა 2014 წლის 16 აპრილს (სასაქონლო ზედნადები ელ-0110717362).

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესთან თანდართული გარემოებების გათვალისწინებით აღსანიშნავია შემდეგი:

- როგორც შემდგომმა სახელშეკრულებო ცვლილებებმა დაადასტურა, სატენდერო დოკუმენტაციით არაადეკვატურად იყო განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადა (10 დღე), რაც პრეტენდენტებისთვის ხელოვნურად შემზღუდავ პირობას წარმოადგენდა. ამან დიდი ალბათობით გამოიწვია ის გარემოება, რომ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა

პრეტენდენტმა, არ შედგა კონკურენცია, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა სატენდერო წინადადებების ფასების კლების შედეგად გარკვეული რაოდენობით დაზოგილიყო საბიუჯეტო სახსრები.

- მიუხედავად იმისა, რომ სატენდერო დოკუმენტაციით და ხელშეკრულებით საწყისი მიწოდების ვადა არაადეკვატურად იყო განსაზღვრული, გაუმართლებელია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიწოდების ვადების გაგრძელება (ჯამურად ექვს თვეზე მეტი ვადით), რის გამოც არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავის გადახდის მექანიზმი 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საურავის გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი იქნებოდა 26.7 ათასი ლარი $72.0 \times 0.2\% \times 185$ დღე).

მიზანშეწონილი იქნება სამინისტროს მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით არ განისაზღვროს ისეთი მოთხოვნები, რომლებიც პრეტენდენტებისთვის ხელოვნურად შემზღუდავ პირობებს წარმოადგენენ. აღნიშნული ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

შპს „კანუდოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სპორტული დარბაზის შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 5 ივნისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130012389), შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 259.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 პრეტენდენტმა. პრეტენდენტთა შეფასების ეტაპზე სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით განხორციელდა სამი საუკეთესო სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის (შპს „ტერმინალი“ - 169.9 ათასი ლარი, შპს „ინდუსტრია-2“ - 170.0 ათასი ლარი და შპს „ფუნდაშენი“ - 184.9 ათასი ლარი) დისკვალიფიკაცია (სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების N2, N3 და N4 საფუძველზე). დისკვალიფიკაციები განხორციელდა იმ მოტივით, რომ მათ მიერ ერთი სამუშაო დღის ვადაში არ იქნა წარმოდგენილი შესასრულებელი სამუშაოების დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვები. აღნიშნული ვადა მათ განესაზღვრათ გაგზავნილი წერილების საფუძველზე. აღნიშნული პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია განხორციელდა მარეგულირებელი ნორმის დაუცველად, რომლის მიხედვითაც თუ დაზუსტებას საჭიროებს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვა, ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების მოთხოვნა უნდა განხორციელდეს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნასთან ერთად⁹. სატენდერო კომისიას არ მიუმართავს აღნიშნული პრეტენდენტებისთვის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, რისთვისაც პრეტენდენტს უნდა მიეცეს გონივრული ვადა (5 დღემდე). მიზანშეუწონელია ასევე ხარჯთაღრიცხვის დასაზუსტებლად პრეტენდენტისთვის

⁹ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-6² პუნქტის მოთხოვნა (ბრძანების 2015 წლამდე არსებული რედაქციის შესაბამისად).

არაგონივრული ვადის (ერთი დღე) მიცემაც, რადგან სამშენებლო სამუშაოების ფასის (ანუ ხარჯთაღრიცხვის) დაზუსტება ბევრად უფრო რთული პროცესია, ვიდრე საქონლის ან მომსახურების ფასის დაზუსტება.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით მომდევნო საუკეთესო სატენდერო წინადადების ფასის (199.4 ათასი ლარი) მქონე პრეტენდენტის - შპს „ახალშენის“ დისკვალიფიკაცია განხორციელდა იმ მოტივით რომ მან ვერ წარმოადგინა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მსგავსი ტიპის (სენდვიჩ პანელის ტიპის) სამშენებლო სამუშაოების შესრულების გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ შპს „ახალშენის“ მიერ ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი იქნა ინფორმაციის სახით სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე (რომელშიც არ ჩანს სამუშაოების კონკრეტიკა). სამინისტროს 2013 წლის 12 ივლისის N1363839 წერილით მას დაევალა წარმოედგინა მხოლოდ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა. კანონმდებლობის შესაბამისად¹⁰ სამინისტრომ მას არ მიმართა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით.

შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „კანუდოსი“, რომელთანაც 2013 წლის 16 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება N876 ღირებულებით 209.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ შპს „კანუდოსის“ მიერ სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ასევე მხოლოდ ინფორმაცია სამუშაოთა ჩამონათვალის სახით (რომელშიც ასევე არ ჩანს სამუშაოების კონკრეტიკა). დამადასტურებელი დოკუმენტები ასევე ატვირთული არ არის ელექტრონულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაურკვეველია, თუ რატომ არ იქნა დისკვალიფიცირებული აღნიშნული პრეტენდენტი იმავე მოტივით, რისთვისაც დისკვალიფიცირებული იქნა უფრო დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი.

ტენდერის მიმდინარეობისას ზემოაღნიშნული ხარვეზების არ დაშვების შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასებიდან გამომდინარე არსებობდა შესაძლებლობა, რომ განხორციელებულიყო საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ეკონომია.

შპს „როიალ არტ ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ქ. თბილისში, ე. მაისურაძის ქ. N3-ში მდებარე შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კინოლოგიის სამსახურის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130011356) გამარჯვების საფუძველზე შპს „GSG GROUP“-თან 2013 წლის 3 ივლისს გაფორმდა 268.8 ათასი ლარის ღირებულების N710 ხელშეკრულება. სამინისტროს 2013 წლის 1 ოქტომბრის N1939608 წერილის მიხედვით შპს „GSG GROUP“-მა ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან შეასრულა მხოლოდ 10.2 ათასი ლარის სამუშაოები, რის გამოც ვალდებულების ჯეროვნად

¹⁰ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით (ბრძანების 2015 წლამდე არსებული რედაქციის შესაბამისად).

შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება ცალმხრივად იქნა შეწყვეტილი (შსს წერილი N91301669035, 24/08/2013). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სადაზღვევო კომპანია სს „ჯი პი აი ჰოლდინგის მიერ“ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის თანხა 7.3 ათასი ლარის ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის თანხა 13.5 ათასი ლარის ოდენობით.

ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ იმავე შესყიდვის მიზნით 2013 წლის 30 აგვისტოს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გაფორმდა ხელშეკრულება N918 შპს „როიალ არტ ჯგუფთან“ ღირებულებით 284.4 ათასი ლარი. 2013 წლის 11 სექტემბრის შეთანხმების ოქმის (N1) საფუძველზე ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 28.4 ათასი ლარით და შეადგინა 312.8 ათასი ლარი. 2013 წლის 31 ოქტომბრის შეთანხმების ოქმის (N2) საფუძველზე განხორციელებული მეორე ცვლილების შედეგად დასაბუთების გარეშე სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 25 ნოემბერი (ნაცვლად 31 ოქტომბრისა), ხოლო სამუშაოების ღირებულება შემცირდა 312.7 ათას ლარამდე. იმავე წლის 25 ნოემბრის შეთანხმების ოქმის (N3) საფუძველზე განხორციელებული მესამე ცვლილების შედეგად სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2 დეკემბერი. აღსანიშნავია, რომ 32 კალენდარული დღით სამუშაოების ვადის გადაწევა ეწინააღმდეგება გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების მოტივს - გადაუდებელ აუცილებლობას. ფაქტობრივად სამუშაოები დასრულდა და მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 16 დეკემბერს. ამ დამატებით ვადებში შესაძლებელი იქნებოდა გამოცხადებულიყო ახალი ტენდერი (რითაც დიდი ალბათობით დაიზოგებოდა გარკვეული ფულადი სახსრები). შპს „როიალ არტ ჯგუფს“ ვადაგადაცილებისთვის გადახდილი აქვს 14 დღის საურავი 3.5 ათასი ლარის ოდენობით (დღეში 248 ლარი). სამუშაოების შესრულების ვადის დაუსაბუთებლად არ გაზრდის შემთხვევაში ბიუჯეტში დამატებით გადახდილი იქნებოდა 32 დღის საურავი 7.9 ათასი ლარის ოდენობით.

სამინისტროსა და შპს „როიალ არტ ჯგუფს“ შორის 2013 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 311.2 ათასი ლარი. აღნიშნული აქტის საფუძველზე განხორციელდა საბოლოო ანგარიშსწორება და გადახდილი იქნა ჯამურად შესაბამისი თანხა - 311.2 ათასი ლარი. თუმცა ანგარიშსწორების შემდეგ ხარჯთაღრიცხვა გაგზავნილი იქნა სსიპ ლევან სამხარულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში, რომლის დასკვნის (N001270314, გაგზავნილი N5001203614, 18.03.2014 წერილით) შედეგად დადგინდა, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 308.2 ათასი ლარი. გაურკვეველია, თუ რატომ განხორციელდა საბოლოო ანგარიშსწორება ექსპერტიზის დასკვნის გარეშე. ასევე გაურკვეველი მიზეზით მიღება-ჩაბარების აქტის კორექტირება და კორექტირებული ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენა განხორციელდა საკმაოდ დაგვიანებით - 2015 წლის 19 მარტს (ა/ფ ეკ 1044383). შედეგად შპს „როიალ არტ ჯგუფს“ ბიუჯეტში დასაბრუნებელი ჰქონდა 3.0 ათასი ლარი, რომელიც ბალანსში 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასახული არ არის მოთხოვნის სახით.

აუდიტის მიმდინარეობისას შპს „როიალ არტ ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი იქნა ზემოაღნიშნული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების საგადასახადო დავალება¹¹.

¹¹ საგადასახადო დავალება N1, 23.06.2015, სს „თი ბი სი ბანკის“ საბურთალოს ფილიალი.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA130011356) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო, რომ პრეტენდენტს 2010-2012 წლებში უნდა ჰქონოდა ანალოგიური საქმიანობის (სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები) გამოცდილება 500.0 ათასი ლარის ბრუნვის ოდენობით. შპს „როიალ არტ ჯგუფი“ (რომელთანაც გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა ხელშეკრულება) მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემებით რეგისტრირებულია 2012 წლის 8 ნოემბერს. შესაბამისად მას არ გააჩნდა ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება. აღნიშნული მიუთითებს გამოცდილებასთან დაკავშირებით მოთხოვნებისადმი არათანმიმდევრულ დამოკიდებულებაზე. აღსანიშნავია ასევე, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების შედეგად ობიექტის საბოლოო ღირებულებამ ტენდერით დაფიქსირებულ ფასთან შედარებით 49.6 ათასი ლარით მეტი შეადგინა¹².

შპს „ბლოკ-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

2013 წლის განმავლობაში სამინისტროსა და შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ შორის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა გრიფით „საიდუმლო“ ხელშეკრულებები. მათ შორის: 29 ივლისის N039/13 (ჩალაძის ქ. N1-ში მდებარე დროებითი მოთავსების იზოლატორის სარეკონსტრუქციო სამუშაოები) ღირებულებით 417.7 ათასი ლარი, 3 ივლისის N031/13 (ზემო ფონიჭალაში შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები) ღირებულებით 773.4 ათასი ლარი და 4 ნოემბრის N087/13 (ზემო ფონიჭალაში შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები) ღირებულებით 912.1 ათასი ლარი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 17 ივლისის N534 ბრძანებით (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დამუშავებული ზოგიერთი საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ) ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებს მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“.

აღნიშნული ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების შემოწმების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹-ე მუხლის საფუძველზე შპს „ბლოკ-ჯორჯიასგან“ მოთხოვნილი იქნა ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტები (ხელშეკრულებები, ანგარიშ-ფაქტურები, მიღება-ჩაბარების აქტები თანდართული ფორმა N2-ებით). აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა. წარმოდგენილი იქნა მხოლოდ სხვადასხვა მასალების შესყიდვის დამადასტურებელი ანგარიშ-ფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები. საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

¹² 308.2(საბოლოო ღირებულება)-268.8(სატენდერო ფასი)+10.2(შპს „GSG GROUP“-ის მიერ შესრულებული სამუშაო).

შპს „ოლბერთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

სამინისტრომ გარე ტანსაცმლის (შარვალი, პერანგი მოკლე მკლავით) შესყიდვის მიზნით 2013 წლის 7 მაისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერში (SPA130010120) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 655.2 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომლებმაც წარმოადგინეს საბოლოო სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები: შპს „ელსელემა“ – 615.0 ათასი ლარი, შპს „მოდელების სახლი მატერია“ – 615.4 ათასი ლარი და შპს „ოლბერი“ – 655.2 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო, რომ ელექტრონული ვაჭრობის შემდეგ ყველა პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ნიმუშები 3 კალენდარულ დღეში (ე.ი. 31 მაისის ჩათვლით, რადგან ელექტრონული ვაჭრობა დამთავრდა 28 მაისს), ხოლო 7 სამუშაო დღეში აღნიშნულ ნიმუშებზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ექსპერტიზის დასკვნა. ნიმუშები დადგენილ ვადაში წარმოადგინეს მხოლოდ შპს „ელსელემამ“ და შპს „მოდელების სახლი მატერია“. სატენდერო კომისიის 2013 წლის 5 ივნისის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე ეს ორი საუკეთესო სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ნიმუშები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სატენდერო კომისიის მიერ გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა არა ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე (რომელთა წარმოდგენაც აღარ ჩაითვალა საჭიროდ), არამედ ნიმუშების ექსპერტიზის დასკვნების გარეშე განხილვის შედეგად. კერძოდ, შპს „ელსელემას“ მიერ წარმოდგენილი ნიმუში დაწუნებული იქნა იმ მოტივით, რომ ჯიბეები მიკერებული იყო დარღვეული სიმეტრიით, არ ჰქონდა პირადი ნომრის სამაგრი ნახვრეტები, სამხრის სიგრძე იყო 15სმ, ნაცვლად 16სმ-სა. შპს „მოდელების სახლი მატერიას“ მიერ წარმოდგენილი ნიმუში დაწუნებული იქნა იმ მოტივით, რომ სამხრის ზომები ნაცვლად სიგრძე 16სმ და სიგანე 5სმ-სა შეადგენდა 15სმ-ს და 4.5სმ-ს. ჟეტონის საკიდის პეტლების დაშორება არ იყო 3სმ, ხოლო საკალმე ჯიბე ნაცვლად 4 სმ-სა იყო 3სმ. ამავე ოქმის საფუძველზე ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „ოლბერს“ დაევალა სამი სამუშაო დღის ვადაში ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება და ნიმუშის წარმოდგენა. შედეგად ტენდერში გაიმარჯვა შპს „ოლბერმა“, რომელთანაც 2013 წლის 14 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N642 ღირებულებით 655.2 ათასი ლარი.

საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიზანშეუწონელია ორი საუკეთესო სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ექსპერტიზის დასკვნების წარმოდგენამდე (სხვა შემთხვევაში აზრი ეკარგება სატენდერო დოკუმენტაციით აღნიშნული სახის მოთხოვნის დაყენებას). რაც შეეხება ნიმუშებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული სახის არაარსებით შეუსაბამობებს სამხრეების თუ ჯიბეების ზომებთან დაკავშირებით, აღნიშნულის კორექტირება შესაძლებელი იქნებოდა საქონლის დამზადების პროცესში¹³. ასევე მიზანშეუწონელია ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტისთვის დამატებითი ვადის მიცემა ნიმუშის წარმოსადგენად. ალტერნატიულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო

¹³ ანალოგიურ პრაქტიკას ჰქონდა ადგილი მაგალითად ელექტრონული ტენდერის (SPA130010122) შემთხვევაში, სადაც გამარჯვებული პრეტენდენტის შპს „Art House-ის“ მიერ წარმოდგენილი საქონლის ნიმუშის ზომა განსხვავდებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილისგან (ჟეტონის სიგანე 52მმ-ს ნაცვლად იყო 51მმ), რაც სატენდერო კომისიის მიერ დასაშვებად იქნა მიჩნეული.

ტენდერის შეწყვეტა და ახალი ტენდერის გამოცხადება შემცირებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით.

სატენდერო კომისიის მიერ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასებიდან გამომდინარე არსებობდა შესაძლებლობა, რომ განხორციელებულიყო საბიუჯეტო სახსრების ეკონომია.

საპატრულო პოლიციის უნიფორმის (შარვალი, პერანგი გრძელი მკლავით, ქალის ქვედაბოლო, ქალის პიჯაკი, კაცის პიჯაკი) შესყიდვის მიზნით სამინისტრომ 2013 წლის 3 აგვისტოს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130017009) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 380.7 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო, რომ ელექტრონული ვაჭრობის შემდეგ (რომელიც დამთავრდა 23 აგვისტოს) პრეტენდენტებს 3 კალენდარულ დღეში უნდა წარმოედგინათ საქონლის ნიმუშები, ხოლო 7 სამუშაო დღეში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ნიმუშებზე ექსპერტიზის დასკვნა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს „ოლბერმა“, რომელმაც ნიმუშებზე ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგინა საკმაოდ დაგვიანებით - 2013 წლის 25 სექტემბერს. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ნიმუშის სახით წარმოდგენილი გრძელმკლავიანი პერანგის მკლავის ბოლო იყო მანქნით ანაკეცი გარეშე, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური პირობებით კი მკლავის ბოლო გაფორმებული უნდა ყოფილიყო 4 სმ-იანი სიგანის ანაკეცით. ასევე ქალის ქვედაბოლო ტექნიკური პირობების მიხედვით უნდა ყოფილიყო კალთაჩაჭრილი და გაფორმებული ირიბი ნაკერით, ნიმუშის სახით წარმოდგენილ ქვედაბოლოს კი არ გააჩნდა გასაფორმებელი ნაკერი.

2013 წლის 2 ოქტომბრის სხდომის ოქმის (N2) მიხედვით სატენდერო კომისიის მიერ ზემოაღნიშნული შეუსაბამოებები და დასკვნის დაგვიანებით წარმოდგენა მხედველობაში არ იქნა მიღებული იმ მოტივით, რომ „ზამთრის უნიფორმა უკვე წარმოადგენდა საჭიროებას და ხელახლა ტენდერის გამოსაცხადებლად დრო აღარ რჩებოდა“. აგრეთვე გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ „სატენდერო წინადადება წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მიერ“ და გადაწყდა, რომ შპს „ოლბერის“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ნიმუში შესაბამისობაშია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შედეგად ტენდერში კონკურენციის გარეშე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ოლბერი“, რომელთანაც 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N1048 ღირებულებით 380.7 ათასი ლარი (შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ექვივალენტი). 2013 წლის 12 ნოემბრის შეთანხმების ოქმის N1 საფუძველზე ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად დამატებით შეძენილი იქნა 370 ერთეული შარვალი (ერთეულის ფასი 30 ლარი), 900 ერთეული გრძელმკლავიანი პერანგი (ერთეულის ფასი 27 ლარი) და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებით გაუთვალისწინებელი 80 ერთეული მოტოპატრულის შარვალი (ერთეულის ფასი 30 ლარი), რომლის შედეგად სახელშეკრულებო ღირებულება (380.7 ათასი ლარი) გაიზარდა 37.8 ათასი ლარით და შეადგინა 418.5 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა დისკვალიფიცირებული ყოფილიყო პრეტენდენტი ან შეწყვეტილი ყოფილიყო შესყიდვის პროცედურები და გამოცხადებულიყო ახალი ელექტრონული ტენდერი სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული

დაზუსტებული მოთხოვნების საფუძველზე (ამისთვის არსებობდა საკმარისი დრო ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების შემდეგ).

შპს „Art House“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამინისტრომ 2013 წლის 25 აპრილს შპს „Art House“-თან გააფორმა N457 ხელშეკრულება ღირებულებით 40.1 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 535 ცალი სამკერდე ნიშნის (ერთეულის ფასი 15 ლარი), 535 წყვილი მეტალის ღილკილოების (წყვილის ფასი 5 ლარი) და 535 ცალი საპატრულო პოლიციის ჟეტონის (თითოეულის ფასი 55 ლარი) მიწოდება. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივს წარმოადგენდა პოლიციელის დღის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად (2013 წელს აღინიშნა 19 მაისს) საქონლის აუცილებელი მიწოდება. აღნიშნული მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენება მიზანშეუწონელია, რადგან წლის დასაწყისიდან არსებობდა საკმარისი დრო შესყიდვის დასაგეგმად და ტენდერის გამოსაცხადებლად.

2013 წლის 7 მაისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130010122) საპატრულო პოლიციის ჟეტონების მიწოდებაზე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 190.6 ათასი ლარი. მისაწოდებელი იყო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით (N457) შეძენილის ანალოგიური პარამეტრების და შემადგენლობის 3465 ცალი ჟეტონი. ერთეულის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფასიდან გამომდინარე - 55 ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. კონკურენციისა და ფასის კლების შედეგად გაიმარჯვა შპს „Art House“-მა სატენდერო წინადადების ღირებულებით 149.0 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 43 ლარი).

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე სამინისტროს მიერ საპატრულო პოლიციის ჟეტონების შესყიდვის სწორად ორგანიზების შემთხვევაში შესაძლებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაზოგილიყო 6.4 ათასი ლარი (535ცალი*12ლარი). კერძოდ, სამინისტროს უნდა გამოეცხადებინა ელექტრონული ტენდერი დროულად და ჟეტონების ეს ორი შესყიდვა განეხორციელებინა ერთი ტენდერის ფარგლებში.

შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

საბურავების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 30 ივლისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 659.8 ათასი ლარი) მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. მათ შორის საუკეთესო ფასის მქონე (520.0 ათასი ლარი) პრეტენდენტი შპს „ომეგა-2“ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N3, 27.09.2013) დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი შესაბამისობაში არ იყო სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ასევე

არ იყო წარმოდგენილი საქონლის წარმოშობის სერტიფიკატები. აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტისთვის გაგზავნილი 2013 წლის 27 აგვისტოს N1685749 წერილი არ შეიცავდა მოთხოვნას ფასების ცხრილის დაზუსტების თაობაზე, ხოლო რაც შეეხება საქონლის წარმოშობის სერტიფიკატებს, პრეტენდენტის განმარტებით მისი წარმოდგენა შესაძლებელი იქნებოდა საქონლის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ (პრეტენდენტის მიერ ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი წარმოდგენილი იქნა). დისკვალიფიცირებული იქნა აგრეთვე შემდეგი დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „GeoTrade“ (520.0 ათასი ლარი) იმ მოტივით, რომ მან მიცემულ ვადაში (3 დღე) ვერ წარმოადგინა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები. შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება (2013 წლის 19 ნოემბრის N1185) გაფორმდა შპს „თეგეტა მოტორსთან“ (ღირებულებით 549.0 ათასი ლარი).

აღსანიშნავია, რომ მსუბუქი ავტომობილების საბურავების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ანალოგიური ტენდერის (SPA130008142) სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო განსაზღვრული პრეტენდენტების მიერ ზემოაღნიშნული სერტიფიკატების წარმოდგენის ვალდებულება. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გაიმარჯვა საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტმა სატენდერო წინადადების ღირებულებით 1,763.4 ათასი ლარი, რაც 794.2 ათასი ლარით ნაკლები იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე.

ხოლო სამინისტროს მიერ მოტოციკლების და კვადროციკლებისთვის საბურავების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130016672) სატენდერო დოკუმენტაციით ასევე მოთხოვნილი იქნა ხარისხის შესაბამისობის და საქონლის წარმოშობის სერტიფიკატები. შედეგად ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 16 ოქტომბერს ხელშეკრულება N1072 გაფორმდა ტენდერში მონაწილე ერთადერთ პრეტენდენტთან - შპს „თეგეტა მოტორსთან“ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების შესაბამის თანხაზე - 552.4 ათას ლარზე.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისთვის საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის წინასწარ წარმოდგენის მოთხოვნა (ისევე როგორც სხვა ნებისმიერი მოთხოვნა) ზღუდავს ტენდერში მონაწილეთა რაოდენობას (მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ტენდერებში ანალოგიური მოთხოვნის პირობებში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე პრეტენდენტი). შესაბამისად იზღუდება კონკურენცია და ფასის კლება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სერტიფიკატის წინასწარ წარმოდგენა ვერ იმოქმედებს სატენდერო კომისიის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე, მიზანშეწონილი იქნება, რომ ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტებს მიეცეთ საშუალება საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი (აუცილებლობის შემთხვევაში) წარმოადგინონ მოგვიანებით, რაც ტენდერებს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასებიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნებოდა დაზოგილი ყოფილიყო გარკვეული ოდენობის საბიუჯეტო სახსრები.

შპს „ახალ მთვარესთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

სხვადასხვა სახის გენერატორების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 16 ივნისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140015285) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 184.9 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (2014 წლის 20 აგვისტოს ოქმი N3) განხორციელდა ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე (115.7 ათასი ლარი) შპს „ენსოლის“ დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ: ტექნიკური მახასიათებლების მე-3 პოზიციით მოთხოვნილი იყო 4-4.5 კვტ სიმძლავრის ბენზო-გენერატორი, ხოლო პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ ბენზო-გენერატორს გააჩნდა 6.5 კვტ სიმძლავრე. აღნიშნული მოტივით პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია მიზანშეუწონელია, რადგან მან სატენდერო წინადადებით წარმოადგინა მოთხოვნილთან შედარებით არაარსებითად განსხვავებული პარამეტრის მქონე ბენზო-გენერატორი (ამასთან მოთხოვნილზე უფრო მაღალი სიმძლავრის).

შპს „ენსოლის“ დისკვალიფიკაციის შემდეგ სატენდერო კომისიამ განიხილა მომდევნო საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის შპს „ახალი მთვარე“ (ამჟამად შპს „მირა“) სატენდერო წინადადება. შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ახალი მთვარე“ და მასთან 2014 წლის 19 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N729 ღირებულებით 117.1 ათასი ლარი, რაც 1.4 ათასი ლარით აღემატებოდა დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ ფასს. აღნიშნული გენერატორები სამინისტროსთვის მიწოდებული იქნა 2014 წლის 13 ოქტომბერს (51 ერთეული) და 23 ოქტომბერს (1 ერთეული).

მიზანშეუწონელია სატენდერო დოკუმენტაციით საქონლის ისეთი პარამეტრების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა რომელთაც არაარსებითი მნიშვნელობა აქვთ (მაგალითად გენერატორის ავზის მოცულობა ან მკაცრად განსაზღვრული სიმძლავრე) და შესაბამისად არაარსებითი შეუსაბამობების გამო დაბალი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული გენერატორებიდან (სულ 52 ერთეული) 48 ერთეული შესყიდული იქნა შპს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის (2014 წლის 6 მაისის N1 14 00855760 და 17 მაისის N0 14 00932466 წერილების საფუძველზე). წერილში (N1 14 00855760) აღნიშნულია, რომ სასაზღვრო პოლიციის 2014 წლის ასიგნებებში არ არის გათვალისწინებული გენერატორების შესასყიდი თანხები და დაყენებულია თხოვნა აღნიშნული შესყიდვა უზრუნველყოს სამინისტროს ცენტრალურ აპარატს. შესყიდული გენერატორებიდან 2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით სასაზღვრო პოლიციისთვის გადაცემული იყო მხოლოდ ერთი ერთეული გენერატორი (სიმძლავრით 88 კვტ). ერთი ერთეული (სიმძლავრით 2.4 კვტ) გადაცემულია სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსთვის, ნაცვლად სასაზღვრო პოლიციისა. დანარჩენი 46 ერთეული ინახებოდა სამინისტროს საწყობში. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე გაურკვეველია, თუ რამდენად წარმოადგენდა საჭიროებას გენერატორების შესყიდვის განხორციელება, რამდენად იყო აუცილებელი სასაზღვრო პოლიციის მხრიდან სასწრაფოდ შესყიდვის მოთხოვნის დაყენება სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2014 წლის ასიგნებებიდან. შემდგომში აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში შესაძლებელი

იყო შესყიდვა დაგეგმილიყო და განხორციელებულიყო სასაზღვრო პოლიციის 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში.

შპს „შტურმთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

მაღალეულიანი შავი ფერის ფეხსაცმლის შეძენის მიზნით სამინისტროს მიერ 2014 წლის 22 აგვისტოს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (SPA140019966 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 20.7 ათასი ლარი) დასრულდა უარყოფითი შედეგით. მასში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის შპს „პარტნიორის“ (სატენდერო წინადადების ღირებულებით 18.6 ათასი ლარი) დისკვალიფიკაცია განხორციელდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ N005164814 დასკვნის საფუძველზე იმ მოტივით, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ნიმუში არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის ზემოაღნიშნული დასკვნა გამოცემულია 2014 წლის 13 ოქტომბერს. ხოლო პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და ტენდერისთვის სტატუსის („დასრულებულია უარყოფითი შედეგით“) მინიჭება განხორციელდა 2014 წლის 4 ნოემბრის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის (N2) საფუძველზე (დასკვნის გამოცემიდან 22 დღის შემდეგ). საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის უფროსის წერილის (MIA 4 14 02305888) საფუძველზე იმ მოტივით, რომ განმეორებითი ტენდერი მოითხოვდა 30-35 დღიან პერიოდს, აღნიშნული საქონლის შესყიდვის მიზნით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2014 წლის 14 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N863 შპს „შტურმთან“, ღირებულებით 20.7 ათასი ლარი. აღნიშნული ტენდერის ჩატარების პროცედურების სამ თვემდე ვადით გაჭიანურება მიზანშეუწონელია, რადგან შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა¹⁴.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შპს „შტურმთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები არსებითად განსხვავდებოდა უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ საქონლის ტექნიკური მახასიათებლებისგან (მაგალითად, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებით ფეხსაცმლის ზედაპირის ტყავის სისქე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 2,0მმ. ხელშეკრულებით კი განსაზღვრულია¹⁵ 1.8მმ-2.0მმ. აღნიშნული არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნას, რომლის მიხედვით დაუშვებელია გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვისას (თუ ეს გამოწვეულია ტენდერისთვის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ სტატუსის მინიჭებით) შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი, თვისობრივი ან სხვაგვარი მონაცემები უარესი/უფრო მცირე იყოს,

¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

¹⁵ შედარებისთვის: შპს „პარტნიორის“ დისკვალიფიკაციის ერთერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მის მიერ წარმოდგენილი ნიმუშის ზედაპირის ტყავის სისქე იყო 1.5მმ.

ვიდრე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ანალოგიური მონაცემები¹⁶. პასუხისმგებელი პირების განმარტებით მიუხედავად ტყავის სისქისა შესყიდული იქნა სატენდერო პირობებით განსაზღვრულ ფეხსაცმელზე უფრო მაღალი ხარისხის ფეხსაცმელი, თუმცა ნიმუშის საექსპერტო გამოკვლევა არ განხორციელებულა (რის საფუძველზეც იქნა დისკვალიფიცირებული შედარებით დაბალი ფასის შემთავაზებელი პრეტენდენტი), რაც მიზანშეუწონელია.

საკანცელარიო საქონლის შესყიდვა

2014 წლის 11 თებერვალს სამინისტრომ სხვადასხვა სახის (რამდენიმე ათეული სახეობის) საკანცელარიო საქონლის შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140004272) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 142.3 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „კანკ პაპერმა“, რომელმაც წარმოადგინა სატენდერო წინადადება ღირებულებით 134.5 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (2014 წლის 25 აპრილის სხდომის ოქმის N3 მიხედვით) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ არ იქნა სრულად წარმოდგენილი საქონლის ნიმუშები (რაც განსაზღვრული იყო სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებით). აღნიშნულის გამო ტენდერი გამოცხადდა უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

2014 წლის 29 აპრილს იგივე შესყიდვის მიზნით სამინისტრომ განმეორებით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140011351) იგივე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 142.3 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო კვლავ ერთმა პრეტენდენტმა, ამჯერად - შპს „კომპანია Geosm“-მა, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 139.8 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე სამინისტროსა და შპს „კომპანია Geosm“-ს შორის 2014 წლის 10 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N477 ღირებულებით 112.4 ათასი ლარი. გარდა ამისა სატენდერო წინადადების ღირებულების ფარგლებში აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა კიდევ 4 ხელშეკრულება:

- შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასაზღვრო პოლიციასა და შპს „კომპანია Geosm“-ს შორის 2014 წლის 10 ივნისის N4/3-187 ხელშეკრულება ღირებულებით 4.9 ათასი ლარი.

- შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს „კომპანია Geosm“-ს შორის 2014 წლის 10 ივნისის Nგ/01/228/49 ხელშეკრულება ღირებულებით 6.0 ათასი ლარი.

- სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და შპს „კომპანია Geosm“-ს შორის 2014 წლის 10 ივნისის N89 ხელშეკრულება ღირებულებით 0.6 ათასი ლარი.

¹⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

- შსს სსიპ „112“-სა და შპს „კომპანია Geosm“-ს შორის 2014 წლის 10 ივნისის N03/228/01 ხელშეკრულება ღირებულებით 15.8 ათასი ლარი.

2014 წლის 31 დეკემბრის N2 შეთანხმების საფუძველზე სამინისტროსა და შპს „კომპანია Geosm“-ს შორის გაფორმებულ 2014 წლის 10 ივნისის N477 ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 50.5 ათასი ლარით და განისაზღვრა 61.9 ათასი ლარით.

სახელშეკრულებო ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება (45%-ით) მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამინისტროს მიერ აღნიშნული საქონლის (საკანცელარიო ნივთების) შესყიდვა არ იყო სათანადოდ დაგეგმილი (საქონლის საჭიროება რაოდენობრივად არ იყო სწორად განსაზღვრული).

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები

რიგ შემთხვევებში სამინისტროს მიერ შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადები ურთიერთშეთანხმებებით გაგრძელებულია დასაბუთების და ობიექტური მიზეზების გარეშე, რის გამოც სამართლებრივი საფუძვლის შექმნის შედეგად აღარ წარმოებდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის ვადაში მიუწოდებლობისთვის საურავების დარიცხვა. ტენდერების საფუძველზე შესყიდვების განხორციელების შემთხვევებში ასეთ დროს ირღვევა სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული პირობები მიწოდების ვადებთან დაკავშირებით, რომლის შეზღუდვაც ხშირად პრეტენდენტების რაოდენობას და შესაბამისად ტენდერების კონკურენტუნარიანობასაც განსაზღვრავს. შესაბამისად გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, თუ რატომ იზღუდება სატენდერო დოკუმენტაციებით მიწოდების ვადები, თუკი შემდგომ ხელშეკრულებებში ცვლილებების განხორციელებით ეს შეზღუდვები მოიხსნება. ობიექტური მიზეზების გარეშე მიწოდების ვადების გაგრძელების შედეგად ბიუჯეტში აღარ მიემართებოდა საურავებით გათვალისწინებული გარკვეული თანხები. მაგალითად:

ელექტრონულ ტენდერში (SPA130016859) გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 20 სექტემბერს სამინისტროსა და შპს „მარაგზა 2009“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება N988 ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარეცხი დანადგარის შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 117.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მიწოდების ვადა 60 კალენდარული დღით (ანუ 2013 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით). 2013 წლის 19 ნოემბერს შეთანხმების ოქმის (N1) საფუძველზე მიწოდების ვადა დასაბუთების გარეშე გაიზარდა და განისაზღვრა 2013 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით. მიწოდება ფაქტობრივად განხორციელდა 2013 წლის 29 ნოემბერს (სასაქონლო ზედნადები ელ-0091771227). ვადის გაგრძელების გამო აღარ იქნა გადახდილი 10 დღის დაგვიანებისთვის საურავი 2.3 ათასი ლარის ოდენობით ($117.5 \cdot 0.2\% \cdot 10$).

ელექტრონულ ტენდერში (SPA130022836) გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 26 ნოემბერს სამინისტროსა და შპს „ალტას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N1204 პრინტერებისა და უწყვეტი კვების წყაროს შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 333.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მიწოდების ვადა 30 კალენდარული

დღით (ანუ 2013 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით). 2013 წლის 25 დეკემბერს შეთანხმების ოქმის (N1) საფუძველზე 68.0 ათასი ლარის ღირებულების დარჩენილი მისაწოდებელი საქონლის მიწოდების ვადა დასაბუთების გარეშე გაიზარდა და განისაზღვრა 2014 წლის 3 თებერვლის ჩათვლით. მიწოდება ფაქტობრივად განხორციელდა 2014 წლის 3 თებერვალს (სასაქონლო ზედნადები ელ-0100131380). ვადის გაგრძელების გამო აღარ იქნა გადახდილი 39 დღის დაგვიანებისთვის საურავი 5.3 ათასი ლარის ოდენობით ($68.0 \times 0.2\% \times 39$).

ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები

სამინისტროს მიერ სხვადასხვა მიმწოდებლებთან ტენდერებში გამარჯვების შედეგად გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცალკეულ შემთხვევებში განხორციელებულია ისეთი სახის ცვლილებები, რომლებიც არსებითად განსხვავდებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობებისაგან. კერძოდ, ხელშეკრულებების გაფორმებიდან რამდენიმე დღეში იცვლებოდა როგორც მისაწოდებელი საქონლის სახეობები, რაოდენობები და ერთეულის ფასები, ასევე შესასრულებელი სამუშაოების სახეობები და მოცულობები, რაც ვერ უზრუნველყოფს შესყიდვების განხორციელებისას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნების¹⁷ მიღწევას, რადგან წარმოებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულისგან (შესაბამისად სატენდერო წინადადებებით წარმოდგენილისგან) განსხვავებული შესყიდვები. აღნიშნული გარემოებების გამო ტენდერების ჩატარების მიზანი და შესაბამისად მიღებული ფინანსური ეფექტები გაურკვეველი ხდება. მაგალითად:

ტენდერში (SPA130012389) გამარჯვების შედეგად 2013 წლის 16 აგვისტოს შპს „კანუდოსთან“ გაფორმებულ N876 ხელშეკრულებაში (თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები) 2013 წლის 11 ოქტომბრის შეთანხმების ოქმის (N1) საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები, რომლის შედეგად სახელშეკრულებო ღირებულება (209.0 ათასი ლარი) გაიზარდა 12.7 ათასი ლარით. ცვლილების მიზეზს წარმოადგენდა როგორც ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ცალკეული მასალების მოცულობის კლება, ასევე ცალკეული ახალი მასალის დამატება (ახალი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იქნა 21.4 ათასი ლარის ლითონის კოჭებისა და 2.7 ათასი ლარის კუთხოვანას მიწოდება). დამატებით გათვალისწინებული იქნა აგრეთვე კედლების დამუშავება-შეღებვის სამუშაოები ღირებულებით 2.2 ათასი ლარი, ხოლო ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს მოწყობის სამუშაოები 45მ²-დან გაიზარდა 123.3მ²-მდე. ამასთან 1მ²-ის ღირებულებამ ნაცვლად 11 ლარისა შეადგინა 14 ლარი, ხოლო შრომის ანაზღაურების ღირებულება 1მ²-ზე 6 ლარიდან გაიზარდა 10 ლარამდე.

ტენდერში (SPA130024047) გამარჯვების შედეგად შპს „ლგ გლასსთან“ 2013 წლის 11 დეკემბერს გაფორმებულ N1256 ხელშეკრულებაში (ქ.თბილისში კახეთის გზატკეცილი N38 მდებარე შსს ადმინისტრაციული შენობის დეკორატიული ღობის მოწყობის სამუშაოები)

¹⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული.

2014 წლის 12 თებერვლის შეთანხმების ოქმის (2) საფუძველზე განხორციელებული ცვლილების შედეგად სახელშეკრულებო ღირებულება (141.9 ათასი ლარი) გაიზარდა 11.7 ათასი ლარით, რაც გამოწვეული იყო დამატებითი სამუშაოების შესრულებით (ბომბებისათვის საძირკვლის გამაგრების სამუშაოები).

ტენდერში (SPA130016288) გამარჯვების შედეგად კომპიუტერების შესყიდვის მიზნით შპს „ალგორითმთან“ 2013 წლის 11 სექტემბერს გაფორმებულ N959 ხელშეკრულებაში (ღირებულებით 354.5 ათასი ლარი) განხორციელებული ცვლილების შედეგად დამატებით შეძენილი იქნა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილისგან განსხვავებული (სხვა ტექნიკური პარამეტრების მქონე) შედარებით ძვირადღირებული 2 ერთეული კომპიუტერი ჯამური ღირებულებით 4.9 ათასი ლარი.

ტენდერში (SPA130014714) გამარჯვების საფუძველზე კარტრიჯების შესყიდვის მიზნით ი/მ „გიორგი კანდელაკი - ვესტასთან“ 2013 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული N902 ხელშეკრულების ღირებულება (279.6 ათასი ლარი) 30 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად გაიზარდა 24.7 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეული იყო დამატებით ისეთი საქონლის მიწოდებით, რომელიც არ იყო გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებით. კერძოდ, მიწოდებული იქნა 6.4 ათასი ლარის ღირებულების 40 ერთეული კარტრიჯი „HP LAZER JET PRO 200“ პრინტერისთვის, 1.2 ათასი ლარის ღირებულების 50 ერთეული კარტრიჯი „CANON LBP6670 DN“ პრინტერისთვის და 4.4 ათასი ლარის ღირებულების 15 ერთეული კარტრიჯი „HP LJ 400 COLORMFP“ პრინტერისთვის.

ტენდერში (SPA130010138) გამარჯვების საფუძველზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში პოლიციის საგუშაგო შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სამინისტრომ სს „სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთთან“ 2013 წლის 10 ივნისს გააფორმა ხელშეკრულება N629 ღირებულებით 148.9 ათასი ლარი. 2013 წლის 21 აგვისტოს და 6 სექტემბრის შეთანხმების ოქმების (N1 და N2) საფუძველზე ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულება გაიზარდა 14.4 ათასი ლარით, რაც გამოწვეული იყო დამატებით ისეთი სამუშაოებისა და მასალების შესყიდვით, რომელიც არ იყო გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციით. კერძოდ, გარე მოპირკეთების სამუშაოებზე შეიცვალა მასალა და მუქი ფერის ხელოვნური ფილების ნაცვლად ახალი ხარჯთაღრიცხვით განისაზღვრა ბუნებრივი გრანიტის გაპრიალებული ფილები. საძირკვლის მოწყობის სამუშაოებზე დამატებით განისაზღვრა საძირკვლის ქვეშ ქვიშანარევი ღორღის მომზადების სამუშაოები, „რუბეროიდით ბიტუმის მასტიკაზე“-ორი ფენა ჰორიზონტალური ჰიდროიზოლაციის მოწყობის სამუშაოები, ასევე დამატებით განისაზღვრა წყლის ტუმბოს ელექტრომომარაგების სამუშაოები.

სამინისტრომ ადმინისტრაციული შენობების დასუფთავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA130025869) გამარჯვების საფუძველზე 2014 წლის 1 იანვარს შპს „სუფთა სამყაროსთან“ გააფორმა ხელშეკრულება N8 ღირებულებით 997.4 ათასი ლარი. ერთი კვირის შემდეგ (2014 წლის წლის 8 იანვარს) მხარეთა შორის შეთანხმების ოქმის (N1) საფუძველზე დასასუფთავებელი ობიექტების ჩამონათვალს დამატა 8 ერთეული შენობისა და 1 ერთეული ეზოს მომსახურება, რომლის შედეგად სახელშეკრულებო ღირებულება ჯერ გაიზარდა 59.7 ათასი ლარით, ხოლო 1

თებერვლის, 1 მაისის, 31 ივლისის, 1 სექტემბრისა და 31 დეკემბრის შეთანხმების ოქმების (N2, N3, N4, N5 და N6) საფუძველზე, გარკვეული ობიექტების სხვა ობიექტებით ჩანაცვლებისა და დამატების შედეგად ხელშეკრულების ღირებულება საბოლოოდ განისაზღვრა 1,045.3 ათასი ლარით. მაგალითად: თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ეზოს ფართის - 30000მ²-ის დასუფთავების მომსახურების ნაცვლად განხორციელდა ქ. ბათუმში ტბელ აბუსერიძის გამზირ N11-ში მდებარე შსს კრიმინალისტიკური სამსახურის 300მ² შენობის დასუფთავების მომსახურება. ობიექტების ჩამონათვალს დაემატა აგრეთვე ქ. ქუთაისში სადგურის მოედანი N3ა-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს 268მ² შენობა.

სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების ტექნიკური მაჩვენებლები

ტენდერების საშუალებით შესყიდვების განხორციელებისას ცალკეულ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციებში შესასყიდი საქონლის აღწერისას მითითებული იყო ისეთი პარამეტრები, რომელთა სიდიდეების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა, ან საერთოდ საჭიროება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და აკმაყოფილებდა მხოლოდ კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებს. ასეთ პირობებში ტენდერებში მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, რითაც ავტომატურად გამოირიცხებოდა კონკურენცია და ფასის კლება. აღნიშნული პრეტენდენტი ტენდერებში იმარჯვებდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით, რაც არ უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. მაგალითად:

50 ერთეული 2 კაბინიანი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA130010260) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო ავტომანქანის ტექნიკური მონაცემების განმსაზღვრელი ფიქსირებული სიდიდეები: საწვავის ავზის მოცულობა - 76 ლიტრი, საბურავების ზომები (205 R 16), ძრავის მოცულობა - 2494სმ³ ან 3000სმ³. გარდა ამისა მოთხოვნილი იყო მწვანედ ლამინირებული წინა შუშა და ნაჭრის სალონი (რისი აუცილებლობაც გაურკვეველია). შედეგად ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისმა“, რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 6 ივნისს გაფორმდა N613 ხელშეკრულება ღირებულებით 2000.0 ათასი ლარი (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა იგივე 2000.0 ათას ლარს).

ანალოგიურად, 50 ერთეული 2 კაბინიანი (პიკაპის ტიპის) სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA130016641) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო ავტომანქანის შემდეგი ტექნიკური მონაცემები: საწვავის ავზის მოცულობა - 85 ლიტრამდე, საბურავის დისკის ზომა - 16 დიუმი, 5 სიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით, ძრავის მოცულობა - 3.0 ატმოსფერული - დიზელის, ორი დინამიკით, მწვანედ ლამინირებული წინა შუშა და ნაჭრის სალონი. შედეგად ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა (იმავე) პრეტენდენტმა - შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისმა“, რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 7 სექტემბერს გაფორმდა N944

ხელშეკრულება ღირებულებით 2070.0 ათასი ლარი (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა იგივე 2070.0 ათას ლარს).

ასევე, 50 ერთეული 2 კაბინიანი (პიკაპის ტიპის) სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA130016636) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო ავტომანქანის შემდეგი ტექნიკური მონაცემები: საწვავის ავზის მოცულობა - 85 ლიტრამდე, საბურავის დისკის ზომა - 16 დიუმი, ძრავის მოცულობა - 2.5 ტურბინირებული - დიზელის, 4 ცილინდრიანი, ორი დინამიკით, მწვანედ ლამინირებული წინა შუშა და ნაჭრის სალონი. შედეგად ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა (იმავე) პრეტენდენტმა - შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისმა“, რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 10 სექტემბერს გაფორმდა N958 ხელშეკრულება ღირებულებით 2000.0 ათასი ლარი (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა იგივე 2000.0 ათას ლარს).

10 ერთეული მოტოციკლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA130017004) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო მოტოციკლის შემდეგი ტექნიკური მონაცემები: 5 სიჩქარიანი გადაცემათა კოლოფი, ძრავა 4 ცილინდრიანი, მოცულობა 892სმ³, ცხენის ძალა - 89.4, ძრავის კომპრესია - 10:1, საწვავის ავზის ტევადობა - 24 ლიტრი, სიგრძე - 2230მმ, სიგანე - 950მმ, წონა - 271კგ და ა.შ. შედეგად ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისმა“, რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2013 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა N984 ხელშეკრულება ღირებულებით 264.0 ათასი ლარი (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა იგივე 264.0 ათას ლარს).

მიზანშეუწონელია სატენდერო დოკუმენტაციებით საქონლის ისეთი მახასიათებლების ზუსტ განზომილებებში დაკონკრეტება, რომელთაც არაარსებითი მნიშვნელობა აქვთ. კერძოდ, მოთხოვნა ისეთი პარამეტრების, როგორიცაა ავტომანქანის თუ მოტოციკლის ფიქსირებული ზომები (მმ-ებში), საბურავის თუ მისი დისკის ფიქსირებული ზომები, საწვავის ავზის ტევადობა, გადაცემათა კოლოფის სიჩქარეების რაოდენობა, ძრავის ფიქსირებული მოცულობა (სმ³-ებში), შუშის ლამინირების ფერი და ა.შ. ასეთი მოთხოვნები არაპირდაპირი გზით განაპირობებს კონკრეტული მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული კონკრეტული საქონლისთვის (კონკრეტული მოდელისთვის) უპირატესობის მინიჭებას და ტენდერების ფორმალური სახით ჩატარებას, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას¹⁸.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა შენიშვნები

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება, რომ ტენდერების გამოცხადებისას არასწორად არის განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები. ასეთ შემთხვევებში (თუ ტენდერში მონაწილეობას არ ღებულობს ბევრი პრეტენდენტი და ადგილი არ აქვს კონკურენციას), ცალკეული კომპანიები

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

სარგებლობენ შექმნილი სიტუაციით და გამარჯვებულად ცხადდებიან სატენდერო წინადადებების ღირებულებებით, რომელიც აღემატება საბაზრო ღირებულებას. მაგალითად:

1. სამინისტროს მიერ სეიფების („ა“ ტიპის - 50 ცალი, „ბ“ ტიპის - 200 ცალი და „გ“ ტიპის - 30 ცალი) შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA140011731) შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 283.5 ათასი ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით). ტენდერში (რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა) გაიმარჯვა შპს „ოფის 1“-მა სატენდერო წინადადების ღირებულებით 205.0 ათასი ლარი. მასთან გაფორმებული 2014 წლის 21 ივნისის N512 ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული იქნა ზემოაღნიშნული 3 ტიპის სეიფები შესაბამისად ერთეულის ფასებით 400 ლარი, 734 ლარი და 1,273.3 ლარი, რისთვისაც ეტაპობრივად გადახდილი იქნა 283.5 ათასი ლარი.

მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ მიწოდებული სეიფები შპს „ოფის 1“-ს იმპორტირებული აქვს სამხრეთ კორეიდან ერთეულის შესყიდვის ფასებით: „ა“ ტიპის - 96 აშშ დოლარი, „ბ“ ტიპის - 173 აშშ დოლარი და „გ“ ტიპის - 299 აშშ დოლარი. სულ შესაბამისი რაოდენობების გათვალისწინებით შესყიდვის ფასმა შეადგინა 48.4 ათასი აშშ დოლარი. ტრანსპორტირების ფასმა დამატებით შეადგინა დაახლოებით 7.5 ათასი აშშ დოლარი. იმპორტის დროისთვის არსებული ვალუტის კურსის შესაბამისად (საბაჟო დეკლარაციის მიხედვით - 1.7388 ლარი/აშშ დოლარი) საქონლის თვითღირებულებამ დღგ-ს გარეშე შეადგინა დაახლოებით 97.2 ათასი ლარი¹⁹. გასაყიდი ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 173.7 ათას ლარს (205.0/1.18), ხოლო ფასნამატი თვითღირებულებაზე - დაახლოებით 76.5 ათას ლარს, რაც პროცენტული ოდენობით შეადგენს 78.7%-ს.

ზემოაღნიშნული ციფრობრივი მონაცემები მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არ იყო სწორად განსაზღვრული. კერძოდ:

- ტენდერში ორ პრეტენდენტს შორის ვაჭრობის შედეგად ადგილი ჰქონდა ფასის კლებას 78.5 ათასი ლარის ოდენობით, რაც პროცენტულად მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს (27.7%).

- მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის შედეგად ფასმა მნიშვნელოვნად დაიკლო, მიმწოდებლის მიერ საქონლის თვითღირებულებაზე დარიცხული ფასნამატი (78.7%) მაინც არაგონივრულად მაღალია. ტენდერში ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის შემთხვევაში კი (როცა ადგილი არ ექნებოდა ვაჭრობას) ეს მაჩვენებელი სავარაუდოდ კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა.

2. 2014 წლის 14 იანვარს სამინისტრომ 350 წყვილი საზაფხულო ფეხსაცმლის (სპორტული ე.წ. „ბოტასის“ ტიპის) შეძენის მიზნით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140000969) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 56.0 ათასი ლარი (წყვილი - 160 ლარი). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (2014 წლის 26 თებერვლის სხდომის ოქმი N2) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „Global Defense Group“ სატენდერო წინადადების ღირებულებით 53.5 ათასი ლარი (წყვილი - 152.86 ლარი), რომელთანაც 2014 წლის 6 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N228 ზემოაღნიშნული

¹⁹ $(96*50+173*200+299*30+7520)*1.7388$

ღირებულებით. საქონლის მიწოდების შემდეგ 2014 წლის 4 აპრილს თანხა სრულად იქნა გადახდილი.

ზემოაღნიშნული შესყიდვის ინიცირება განხორციელდა საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს უფროსის წერილის (MIA 6 14 00041759) საფუძველზე, რომელშიც მოთხოვნილი იყო უნიფორმის შეძენა დანართში მითითებული რაოდენობებისა და ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით (მათ შორის აღნიშნული სპორტული ფეხსაცმლის). აღნიშნული მახასიათებლები (მათ შორის წყვილის სავარაუდო ფასი) უცვლელად არის გადატანილი სატენდერო დოკუმენტაციაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N990 ბრძანებით დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა. ბრძანების N3 დანართით განსაზღვრულია საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა. მასში გათვალისწინებული არ არის ფეხსაცმელი. შესაბამისად ის არ წარმოადგენდა უნიფორმისთვის აუცილებელ ერთგვაროვან ატრიბუტს. ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით - 2013 წლის 30 დეკემბრის N1035 ბრძანებით (რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად²⁰ უნდა გამოცემულიყო ნორმატიული აქტის სახით) დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სანივთე ქონებით უზრუნველყოფის ნორმები. აღნიშნული ტიპის ფეხსაცმელი არ არის გათვალისწინებული არც ამ დოკუმენტით. საველე-ოპერატიული საქმიანობისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ მაღალყელიანი ფეხსაცმელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაუსაბუთებელია აღნიშნული ფეხსაცმლის შესყიდვასთან დაკავშირებით საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ინიცირება.

წარმოდგენილი დოკუმენტებით (ინვოისები, საბაჟო დეკლარაცია და ა.შ.) გაირკვა, რომ შპს „Global Defense Group“-ს მიწოდებული აქვს ჩინური წარმოების სპორტული ფეხსაცმელი, რომელიც შეძენილი აქვს ჰოლანდიური კომპანიის „International Cooperatief U.A.“-ს შვედეთის ფილიალისგან. ფეხსაცმელი იმპორტირებულია შვედეთის ქ. მალმიოდან. შესყიდვის ფასმა შეადგინა 16.7 ათასი აშშ დოლარი (წყვილი - 47.85 აშშ დოლარი), ტრანსპორტირება - 1.3 ათასი ევრო. სულ თვითღირებულებამ ვალუტის შესაბამისი კურსებით შეადგინა დაახლოებით 32.4 ათასი ლარი. გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 45.3 ათასი ლარი. ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 12.9 ათას ლარს (39.8%). აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ საბაჟო დეკლარაციის (C10174) მიხედვით აღნიშნული ფეხსაცმლის იმპორტი (ზუსტად 350 წყვილის) შპს „Global Defense Group“-ს განხორციელებული აქვს 2014 წლის 1 მარტს (სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებამდე), ხოლო ინვოისი (N33907) აღნიშნულ საქონელთან დაკავშირებით მიღებული აქვს 2014 წლის 11 თებერვალს (მანამ, სანამ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა).

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე დასაბუთებული არ არის, თუ რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (წყვილი - 160 ლარი). წარმოიშობა გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნული ღირებულება გაანგარიშებულია არა ბაზრის კვლევის შედეგად, არამედ კონკრეტული მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული

²⁰ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა.

კონკრეტული საქონლის ფასიდან გამომდინარე (არც თუ ისე დაბალი ფასნამატი). კერძოდ, მიწოდებული ჩინური წარმოების ფეხსაცმლის შვედეთიდან საქართველოში რეექსპორტი ბუნებრივია ზრდის საქონლის თვითღირებულებას (დამატებითი ტრანსპორტირების ხარჯისა და შუამავალი კომპანიის მოგების ხარჯზე) და შესაბამისად გასაყიდ ფასს, ამიტომ სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას ერთი რომელიმე კონკრეტული საქონლის ფასზე ორიენტაცია მიზანშეუწონელია.

3. სავარაუდო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე მიუთითებს ასევე შემდეგ შესყიდვებთან დაკავშირებული გარემოებებიც: ქ. თბილისში, გულუას ქ. N10-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის გარე ფასადის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA130024389) შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 327.0 ათასი ლარის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო შვიდმა პრეტენდენტმა. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სამშენებლო ჯგუფი“ სატენდერო წინადადების ღირებულებით 173.4 ათასი ლარი, რომელთანაც 2013 წლის 23 დეკემბერს გაფორმდა N1283 ხელშეკრულება ზემოაღნიშნული ღირებულებით. ვაჭრობის შედეგად ფასის 47%-იანი კლება მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო დასაბუთების გარეშე. გამარჯვებული პრეტენდენტის (შპს „სამშენებლო ჯგუფის“) მიერ წარმოდგენილი იქნა სულ შესასრულებელი სამი სახის სამუშაოს შემდეგი ფასები (დანარიცხების გარეშე): 1მ² ფილის „შკურკით“ დამუშავება-გაწმენდის სამუშაოები - 15.5 ლარი (სულ 7000 მ² - 108.5 ათასი ლარი), 1მ² დაზიანებული ფილის დემონტაჟი, დაზიანებული ადგილის გაწმენდა და ძველი ფილის მონტაჟი - 23.5 ლარი (სულ 500 მ² - 11.7 ათასი ლარი), 1მ² ახალი „ეკლარის“ ფილის მონტაჟი - 64.7 ლარი (სულ 200 მ² - 12.9 ათასი ლარი).

იმავე ობიექტთან დაკავშირებით (ქ. თბილისი, გულუას ქ. N10) ზუსტად იგივე სამი სახის სამუშაოს შესრულების მიზნით სამინისტრომ 2014 წლის 14 თებერვალს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140004697) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 80.1 ათასი ლარი. ამჯერად სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იქნა შპს „სამშენებლო ჯგუფის“ მიერ წინა ტენდერში შეთავაზებული ფასებიდან გამომდინარე (დანარიცხების დამატებით). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა და საუკეთესო სატენდერო წინადადების ფასით გაიმარჯვა შპს „რიკამ“, რომელთანაც 2014 წლის 25 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N272 ღირებულებით 51.0 ათასი ლარი. ვაჭრობის შედეგად ფასის კლებამ ამჯერად შეადგინა 36%. ტენდერში მონაწილეობდა ასევე შპს „სამშენებლო ჯგუფიც“, რომელმაც წარმოადგინა იგივე (ერთი ლარით მეტი) ღირებულების სატენდერო წინადადება, რაც გამარჯვებულმა შპს „რიკამ“. სამუშაოების მიხედვით შპს „რიკას“ მიერ შეთავაზებული იქნა შემდეგი ფასები (დანარიცხების გარეშე): 1მ² ფილის „შკურკით“ დამუშავება-გაწმენდის სამუშაოები - 7.67 ლარი (სულ 3250 მ² - 24.9 ათასი ლარი), 1მ² დაზიანებული ფილის დემონტაჟი, დაზიანებული ადგილის გაწმენდა და ძველი ფილის მონტაჟი - 16.19 ლარი (სულ 200 მ² - 3.2 ათასი ლარი), 1მ² ახალი „ეკლარის“ ფილის მონტაჟის სამუშაოები - 75 ლარი (სულ 100 მ² - 7.5 ათასი ლარი).

ის გარემოებები, რომ მეორე ტენდერში შპს „რიკას“ მიერ შეთავაზებული სამუშაოების ერთეულის ფასები მნიშვნელოვნად ნაკლებია შპს „სამშენებლო ჯგუფის“ მიერ წინა ტენდერში შეთავაზებულ ფასებთან შედარებით, ასევე შპს „სამშენებლო ჯგუფის“ მიერ მეორე

ტენდერში წინა ტენდერთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებული ფასების წარმოდგენა მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზებზე. მიზანშეწონილი იქნება შესყიდვების განხორციელების პროცესში სავარაუდო ღირებულებები განსაზღვრული იქნას სწორად, რათა პრეტენდენტებს არ მიეცეთ საშუალება ტენდერებში გაიმარჯვონ საბაზრო ღირებულებებთან შედარებით მაღალი სატენდერო წინადადებების ფასებით.

მივლინებები ქვეყნის გარეთ

2013 წლის განმავლობაში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გაწეულია 964.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო 2014 წლის განმავლობაში - 1,016.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

აუდიტის პერიოდში ქვეყნის გარეთ მივლინებებში გამგზავრება წარმოებდა სხვადასხვა შესაბამისი უფლებამოსილი პირების ბრძანებების საფუძველზე, რომლებშიც სხვა აუცილებელ მონაცემებთან ერთად მიეთითებოდა სამივლინებო თანხების ანაზღაურების პირობები - კერძოდ, მგზავრობის, სასტუმროს, დღიური სარგოს და სხვა დამატებითი ხარჯების ანაზღაურების პირობები გამომდინარე იქიდან, თუ რას ანაზღაურებდა მიმწვევი მხარე.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები ცენტრალურ საბუღალტრო სამმართველოს არ ეგზავნებოდა. სამმართველო ეყრდნობოდა ბრძანებებში მითითებულ პირობებს, რის შესაბამისადაც ახდენდა თანხების ანაზღაურებას. პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით მიწვევები ეგზავნებოდა უშუალოდ მიწვეულ პირებს და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს, რომელთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზეც სამინისტრო გამოსცემს ბრძანებებს. დანაყოფები ძირითადად ცენტრალურ საბუღალტრო სამმართველოსგან ტერიტორიულად განსხვავებულ ადგილებზე იმყოფებიან. აღნიშნული პრინციპით ქვეყნის გარეთ მივლინებების ორგანიზება წარმოადგენს შიდა კონტროლის სისუსტეს. მიწვევებში დაფიქსირებული პირობების კონტროლის გარეშე ცენტრალური საბუღალტრო სამმართველოს მიერ ვერ ხორციელდებოდა სამივლინებო თანხების გაანგარიშების სისწორის გადამოწმება და შესაბამისად კონტროლი ფულადი სახსრების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე (რაც კანონმდებლობის შესაბამისად²¹ ბუღალტერიის უშუალო ფუნქციას წარმოადგენდა).

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი ქვეყნის გარეთ მივლინებების მიწვევები. სამივლინებო თანხები ანაზღაურებულია ბრძანებებში მითითებული პირობების შესაბამისად. ვერ მოხერხდა ბრძანებებში მითითებული პირობების შედარება მიწვევებში დაფიქსირებულ პირობებთან. ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

²¹ აუდიტის პერიოდში მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

მაღალი ხარისხის შიდა კონტროლის გარემოს შექმნის მიზნით მიზანშეწონილი იქნება ბრძანებების გამოცემამდე სტრუქტურული დანაყოფების მიერ განხორციელებულ მივლინებებთან დაკავშირებით მიღებული მიწვევების გადაცემა ცენტრალურ საბუღალტრო სამმართველოსთვის (თანხების გაანგარიშების სისწორის კონტროლის და ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტებზე მტკიცებულების სახით დართვის მიზნით).

სამინისტროს მიერ დაქირავებულთათვის გაწეული მომსახურება და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება

აუდიტის პერიოდში სამინისტროს მიერ თანამშრომლებზე (როგორც დაქირავებულებზე) გაწეულია მომსახურებები, ასევე განხორციელებულია ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებები ისე, რომ გათვალისწინებული არ არის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები²². მაგალითად:

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით ბინის ქირაზე სამინისტროს 2013 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 138.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო 2014 წლის განმავლობაში - 287.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი. შესამოწმებელ პერიოდში სულ - 426.5 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები გაწეულია სამინისტროს ბრძანებების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც სამინისტროს თანამშრომლებს დაუქირავდათ საცხოვრებელი ბინები. აღნიშნული ხარჯების გაწევის დროს გათვალისწინებული არ არის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის მომსახურების მიწოდებისას (ასევე საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას) საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. სამინისტროს მიერ აღნიშნული გადასახადის ბიუჯეტის ხარჯებში გათვალისწინების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადაუხდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა შეადგენს 106.5 ათას ლარს (426.5/0.8-426.5).

მინისტრის 2013 წლის 22 ნოემბრის N895 ბრძანების შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები (მათ შორის შტატგარეშეები), დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახის წევრები და შპს „სუფთა სამყაროს“ თანამშრომლები (რომლებიც ემსახურებიან სამინისტროს) დაჯილდოებული იქნენ საახალწლო ფასიანი საჩუქრებით. აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით სამინისტრომ გააფორმა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვებზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (შპს „გუდვილთან“ N1210, 28.13.2013 - 877.2 ათას ლარზე; შპს „ბადაგონთან“ N1225, 30.11.2013 - 129.0 ათას ლარზე და N1265, 17.12.2013 - 5.2 ათას ლარზე; სს „ბაგრატიონი 1882“-თან N1226, 30.11.2013 - 174.0 ათას ლარზე. შესყიდული საქონელი (ჯამური ღირებულებით 1,185.4 ათასი ლარი) ფასიანი საჩუქრის სახით დაურიგდათ ზემოაღნიშნულ პირებს. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული არ არის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის საქონლის კომპენსაციის გარეშე გადაცემისას საქონლის საბაზრო ღირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ

²² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტების მოთხოვნები.

შემოსავლებს და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. სამინისტროს მიერ აღნიშნული გადასახადის ბიუჯეტის ხარჯებში გათვალისწინების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადაუხდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა შეადგენს 296.3 ათას ლარს (1,185.4/0.8-1,185.4).

ავტომანქანის გადაცემა

სამინისტროს 2014 წლის 31 იანვრის N65 ბრძანებით ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „Toyota Land Cruiser LC200“ (სახელმწიფო ნომრით PGP 303, გამოშვების წელი 2012, საბალანსო ღირებულებით 104.9 ათასი ლარი) გადაეცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. გადაცემა განხორციელდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის (ყოფილი შს მინისტრის მოადგილის) მოთხოვნის საფუძველზე (2014 წლის 17 იანვრის #MOD 3 14 00028446 წერილი). ქონების გადაცემის საფუძველად მითითებულია სამსახურებრივი საჭიროება.


აღნიშნული ქონების გადაცემა მიზანშეუწონელია იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ გადაცემულია ფაქტობრივად ახალი ავტომანქანა, ხოლო აუდიტის პერიოდში სამინისტროს შეძენილი აქვს რამდენიმე როგორც იგივე, ასევე სხვა ანალოგიური კლასის ახალი ავტომანქანები, რაშიც გახარჯულია დამატებითი საბიუჯეტო სახსრები. კერძოდ, შეძენილია ერთი ერთეული „Toyota Land Cruiser LC200“ (ხელშეკრულება N290, 04.03.2013წ.), 8 ერთეული „Toyota Land Cruiser Prado“ (ხელშეკრულება N421, 08.04.2013წ.), 2 ერთეული „Toyota Land Cruiser“ (ხელშეკრულება N443, 28.05.2014წ.) და სხვა.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით სამინისტროს საქმიანობა ზემოთ მოტანილი ფაქტების გამოკლებით შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.


მთავარი აუდიტორი

გია ნადარეიშვილი

 09-11-2015

უფროსი აუდიტორი

პაპუნა ხოფერია

 09.11.2015

აუდიტორი

ოთარ დანიშაშვილი

 09.11.2015